

1247

~~181 85~~



Ц. ИСТ. 481 1 й Архив 1947

1247. (№ 3085), 32. საზოგადოების წიგნის კრების ოქმები და ანგარიშები. 1911 წ. აპრილის 24. ფურ. 107.

1911.  
109ა.

3085 1 181

Центральный государственный исторический архив Грузинской ССР в г. Тбилиси

**Лист использования документов**

Фонд № 487 год \_\_\_\_\_ опись № 1 ед. хр. № 1247



Дата использования	№ использованных листов	Для какой цели использован документ	Характер использования документа (снята копия, сделана выписка)	Подпись лица, сделавшего запись
1	2	3	4	5
18.11.80		<i>განმარტვამ</i>	<i>განმარტვამ</i>	<i>მ. შაბაძე</i>
26.12.80	8.1, 68,68, 70,71.	<i>განმარტვამ</i>	<i>განმარტვამ</i>	<i>მ. შაბაძე</i>
20.01.81		<i>განმარტვამ</i>		<i>მ. შაბაძე</i>

14

ფ. 481

მ. 3085

ს. 32

# საქმე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

1911 წელს სიბუჯო ქართლ საქმე

21-23 & 24 აქტივ ქართლ საქმე

შესახებ

დაიწყო 1917 წ.

გათავდა 191 წ.

107 უარცხელ შიიყავს საქმე.



მდივნის მოულოდნელმა დატუსაღებამ სრულიად ხელი მოუცარა გამგეობას და იძულებული გაავხდით სეირნობა სხვა მოხერხებულ დროისათვის გადაგვედო. ამ გვარად სეირნობა დღესასწაულისთვის გაწეულმა წინასწარმა ხარჯმა უქმად ჩავიარა და საგრძნობელი ზარალი ვნახეთ. (მდივნის დატუსაღებამ და ხუთის წევრის დაკლებამ დიდად შეაფერხა გამგეობის მოქედება, რადგან მრავალი საგანი და საქმე, რომელთა გამორკვევა და წარმოება მათ ჰქონდათ ჩაბარებული, უპატრონოდ დარჩა. ესაა მიზეზი, რომ გამგეობამ შესაძლებელად ვერ დაინახა მოეწვია შარშან საზოგადო კრება. ჩვენის საზოგადოების დაარსების დღიდან წლიური საზოგადო კრება არა ყოფილა მოწვეული: 1905 და 1910 წლებში.

მოულოდნელი ამბები და გარემოებანი წელსაც განმეორდა. მოკიდეთ თუ არა ხელი მასალის მომზადებას წლიურის ანგარიშისათვის, დაატუსაღეს ადმინისტრაციული სავეწესით ახალი საქმის—წარმოებელი და ამ გვარად განმეორდა სამწუხარო ამბავი შარშანდელის წლისა. ეს სამწუხარო ამბავია იმის მიზეზი, რომ გამგეობამ ვერ შესძლო წარმოედგინა საზოგადო კრებისათვის ყველა ის მასალა, რის წარმოდგენასაც გამგეობა აპირობდა.

მიუხედავად ამოდენა განსაცდელისა, გამგეობას არ შეუჩერებია თვისი მუშაობა. მართალია, გამგეობის შედგენილობა ზოგჯერ არ შეეფერებოდა ხოლმე წესდების მოთხოვნილობას, მაგრამ წევრთა კანდიდატების მოშველებით და მათის დახმარებით გამგეობა განაგრძობდა საქმიანობას იმავე გზით და გეგმით, რომელიც შეიმუშავა 1909 წელს და ამჟამად გამგეობა წარმოგიდგენთ განსახილველად რაოდენიმე სპეციალურ მოხსენებას და ორის წლის ანგარიშსა: 1909 და 1910 წლებისას.



















# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. სასოციალისტური კამპეინის

ქართულ-რუსულ ფრანგულის ლექსიკონის გამოცემის შესახებ.

ერთადერთი ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა დღეს სრულდებით აღარ იშვებოდა და ამნაირად დაუკმაყოფილებელი რჩება ის მოთხოვნები, რომელსაც ის აკმაყოფილებდა. მართალია, გვაქვს მეორე ლექსიკონი—საბა ორბელიანისა—, მაგრამ ის ძალიან მოკლე და ჩუბინაშვილის ლექსიკონის მაგივრობას ვერ გასწევს. ამ გარემოებამ აიძულა გამგეობა შესდგომოდა ზრუნვას ლექსიკონის გამოცემისათვის. საქმის განხილვის შემდეგ გამგეობა იმ აზრისა შეიქნა, რომ ჩუბინაშვილის ლექსიკონის ხელახლად გამოცემა აღარ შეიძლებოდა. ის სხვა ნაკლებეანებათა გარდა არც სრული მასალის მხრით. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ შემდგარიყო ახალი ლექსიკონი, გამგეობამ მოიწვია 15-მდე გარეშე პირი და სთხოვა მათ გამოეთქვათ თავიანთ აზრი. სავნის განხილვის შემდეგ მოწვეულთ პირთა უმეტესობამ დაასკვნა აზრი, რომ საჭიროა შესდგეს ახალი ლექსიკონი, რომელიც უნდა იყოს ჩუბინაშვილის ლექსიკონის მინაფარე იმ განსხვავებით, რომ აცილებულ იქნას მისი შეცდომები და შეესებულ იქნას ახალის მასალით. ამას გარდა საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ლექსიკონი იყოს სამეცნიერო—ქართულ-რუსულ-ფრანგული. რაც შეეხება კითხვას, თუ ვის უნდა მიწოდებოდა ლექსიკონის შედგენა ამ სახით, კრებაში უმეტესობამ საუბარობისგან სცნო, რომ რედაქტორობა დაჰკისრებოდა ერთს კაცს, რომელიც თანამშრომლებად მოიწვევდა ვისაც საჭიროდ დაინახავდა.

მოწვეულ პირთა უმეტესობის აზრის თანახმად, გამგეობამ საჭიროდ მიიჩნია ქართულ-რუსულ-ფრანგულის ლექსიკონის გამოცემა, რადენადაც შეიძლებოდა მალე, რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება კი მეტად საპატიოა. ასეთი ლექსიკონი საჭიროა ერთის მხრით ქართველთათვის, მეორე მხრით უცხოთათვის. როგორც ძველს მწერლობაში, ისე ახალში და სახალხო ნაწარმოებებში ქართველს მკითხველს ხვდება ბლომად იმისთანა სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არ ესმის. ამიტომ ახალი ლექსიკონი უნდა შეიცავდეს ყველა იმ სიტყვების განმარტებას, რომელნიც კი ნახმარნი არიან, როგორც დაბეჭდილ ნაწერებში, ისე ხელთნაწერებში, რომელნიც საქმად ცნობილნი არიან და დღეს თუ ხვალ უნდა დაბეჭდილ იქნენ (მაგალ. როსტომიანი, ვახტანგის სამართლის წიგნი და სხ.) სიტყვათა მნიშვნელობის განმარტება, ცხადია, ქართულად უნდა იყოს, მაგრამ ვრცელი კი არ იქნება და არც სამოწმებელი ციტატები იქნება მოყვანილი, გარდა ზოგიერთის შემთხვევებისა, როდესაც განმარტება ცოტაც არის საეჭოო იქნება. ქართულად სიტყვების განმარტების გარდა, იქნება მათი განმარტება აგრეთვე რუსულის და ფრანგულის სიტყვების საშუალებით. ეს საჭიროა როგორც იმ ქართველთათვის, რომელნიც რუსულს და ფრანგულს სწავლობენ, ისე იმ უცხოთათვის, რომელნიც ქართულს სწავლობენ და ენათა დახმარებით.

ასეთია გამგეობის აზრი ქართულ-რუსულ-ფრანგულის ლექსიკონის გამოცემის შესახებ და, თუ საზოგადო კრება მოიწონებს ამ აზრს, გამგეობა შეუდგება მის განხორციელებას.

მაგრამ არის კიდევ მეორე მხარე ამ კითხვისა, რომელიც აგრეთვე უნდა განხილულ და მოწონებულ იქნას საზოგადო კრების მიერ. საქმე ის არის, რომ საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი თანხა სტენდულის ლექსიკონის გამოსაცემად. რადგან ამ საქმის განხორციელება გამგეობას მეტად სასარგებლოდ და საჭიროდ მიაჩნია, ამიტომ იგი ფიქრობს, რომ ხარჯის დასაფარავად შესაძლებელი იქნება ვისესხოთ საგანგებო თანხებიდან საჭირო ფული იმ პირობით, რომ გამოცემის შემოსავალი უბრუნდებოდეს თანხებს, ვიდრე მთლად არ გადაიხდება ვალი. რადენადაც შესაძლებელი იყო, გამგეობამ იანგარიშა თუ რა ხარჯი მოუვიდოდა ლექსიკონის გამოცემაზე (2000 ო. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ფორმატის 1500 გვერდი) და დააღდა იმ აზრს, რომ ამ საქმისთვის დასჭირდება 8323 მანეთითგან 10948 მანეთამდე და ამნაირად ცალი დაჯდება 4 მ. 17 კ.—5 მ. 43 კ.

ამნაირად, თუ ლექსიკონის გამოცემა მოწონებული იქნება, საზოგადო კრებამ უნდა ნება დართოს გამგეობას, რომ საჭირო ხარჯის გასაწევად ისესხოს ფული იმ თანხებიდან, რომელთაგანაც შესაძლებლად დაინახავს, მოხსენებულის პირობით.



ანგარიში

„ქართულთა შორის წერა-კითხვის  
გამაურცელებელის“ სასოგადოების

გოქმედებისა

1909 და 1910 წლებისა

---

წელიწადი XXXII.

---

თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ბ. კილაძისა ველიამინოვის ქ. 6.

1911.

# ანგარიში

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გავა- რსებადელ საზოგადოების მოქმედებისა 1909 და 1910 წლისა

პირველი ნაწილი.

I.

### საზოგადოების წევრნი:

1909 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ჰყავდა 393 წევრი: 8 საპატიო, 57 დამფუძნებელი და 328 ნამდვილი წევრი. ახლად მიღებულ იქმნენ 4 იანვარს და 20 დეკემბერს 1909 წ. საზოგადო კრებაზედ 487 წევრი. წლის განმავლობაში დააკლდა 1 დამფუძნებელი და 300 ნამდვილი წევრი, რომელთაც საწევრო ფული არ შემოიტანეს. წლის დამლევს საზოგადოებაში იყო 580 წევრი: 8 საპატიო, 56 დამფუძნებელი და 516 ნამდვილი წევრი. 1910 წლის განმავლობაში მიემატა 168 ნამდვილი წევრი და დააკლდა 1 საპატიო და 494 ნამდვილი წევრი, რომელთაც საწევრო ფული არ შემოიტანეს, 1910 წლის დამლევს საზოგადოებაში იყო 253 წევრი: 7 საპატიო, 55 დამფუძნებელი და 191 ნამდვილი წევრი.

### საპატიო წევრნი:

- 1, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის ძე, არჩეულია 1890 წელს
- 2, ჭავჭავაძე კნ. ოლგა თადეოზის ასული „ 1894 „

მათი კანდიდატები: ანნა არდაზიანი, ტერ. ხმიადაშვილი და ივ. ჭავჭავაძე.

სარევიზიო კომისიის წევრები:

ანდრია ლულაძე რევიზორია 1895 წლ.  
 შიო დედაბრიშვილი " 1908 წლ.  
 ალექს. მიქაბერიძე " 1908 წლ.

1910 წლ. გამგეობის წევრობას თავი დაანება ი. ლულაძემ, რომლის მაგივრად მოწვეულ იქმნა კანდიდატი ქ. ტ. ხმიადაშვილი, ამავე წელს თავი დაანება გ. ლასხიშვილმა, ს. ფირცხალავამ და პ. სურგულაძემ, მათ მაგივრად მოწვეულ იქმნენ კანდიდატები ან. არდაზიანი და ივ. ჭავჭავაძე.

გამგეობას 1909 წლის განმავლობაში ჰქონდა 43 სხდომა, ხოლო 1910 წ. 45 სხდომა. გამგეობის წევრთაგანი დაესწრო.

	დაესწრენ	
	1908	1910
თავმჯდ. გიორგი ყაზბეგი . . . . .	35	30
იაკობ ლულაძე . . . . .	18	—
დ. კარიჭაშვილი . . . . .	33	34
გიორგი ლასხიშვილი . . . . .	29	12
ს. ფირცხალავა . . . . .	43	17
ფილ. გოგიჩაიშვილი . . . . .	29	21
ალ. ყიფშიძე . . . . .	35	38
ალ. მდივანი . . . . .	18	22
ლ. ბოცვაძე . . . . .	33	38
პ. სურგულაძე . . . . .	28	22
ტ. ხმიადაშვილი . . . . .	4	12
ანნა არდაზიანი . . . . .	—	5
ივ. ჭავჭავაძე . . . . .	—	28



1909 გამგეობის სხდომებს თავმჯდომარეობდა გ. ყაზბეგი 35 ჯერ, იაკობ ლულაძე 3 და დ. კარიჭაშვილი 5 ჯერ.

1910 გამგეობის სხდომებს თავმჯდომარეობდა გ. ყაზბეგი 33 ჯერ, ალ. მდივანი 10 ჯერ, ალ. ყიფშიძე 1 და გ. ლასხიშვილი ერთჯელ.

1910 წლის 29 აპრილამდის გამგეობის მდივანად იყო წვერი გამგეობისა სამს. ფირცხალავა, ხაზინადრად ალ. ყიფშიძე, მაისსა და ივლისში მდივნის თანამდებობას ასრულებდა დ. კარიჭაშვილი, შემდეგ ლ. ბოცვაძე, ხოლო 10 სექტემბრიდან კი გამგეობის საქმის მწარმოებლად მოწვეულ იქმნა ს. კაკაბაძე.

გამგეობის სხდომაზედ 1909 წ. გაირჩა სულ 423 საქმე, ხოლო 26 გადაიღო შემდეგი კრებისათვის. 1910 წ. გაირჩა 410 საქმე და 18 გადაიღო შემდეგი სხდომისათვის.

III.

საზოგადოებას საანგარიშო წელს ჰქონდა 13 სკოლა.

1, სკოლები, რომელთაც თავისი ხარჯით ინახავს: კავკაიისა, ბათომისა, გომარეთისა, ყალამშიისა, საგურამოს ილია ქავჭავაძისა, ბაქოსი და სოხუმისა.

2, სკოლები, რომლებსაც თავისი ხარჯით ინახავს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი: ა) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა და ბ) მისი განყოფილება ძველ-სენაკში.

3, სკოლები, რომლებსაც საზოგადოება ინახავს სოფლის ან ქალაქის დახმარებით: წინარეხისა, გიორგი-წმინდისა, საგარეჯოსი და ნავთლულისა.

1910 წლის მაისში საგარეჯოს სკოლა დაიხურა.

1911 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებას აქვს 12 სკოლა: კავკაიისა, ბათომისა, გომარეთისა, ყალამშიისა, საგურამოსი.

მოს ილია ჭავჭავაძისა, ქუთაისისა, სენაკისა, წინარებისა, გიორგი წმინდისა, ნავთლულისა, სოხუმისა და ბაქოსი.

IV.

1909 წლის I იანვრისთვის საზოგადოებას ჰქონდა 13 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. 1) ტფილზის I, 2) ტფილისის II, 3) ახალციხის 4) უდისა, 5) დიდი-ჯიხაიშისა, 6) ტფილისის III, 7) ხონისა, 8) ტფილისის IV, 9) ახალსენაკის 10) ქარელის, 11) ტობანიერის 12) ქვიანის 13) მათხოჯის.

1909 წლის განმავლობაში დაარსდა 10 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, 1) მარტყოფისა 2) ქვემოქალისა 3) მუხიანისა, 4) ქვიტირისა, 5) საჭილაოსი, 6) კულაშისა, 7) ჩოხატაურისა, 8) გომახურისა 9) საჯავახოსი და 10) ყვირილისა.

1910 წლის განმავლობაში დაარსდა ქრებალოს, დიდუბის, ბორჯომის, ძევერის ბიბლიოთეკები.

დაიხურა ტფილისის I ბიბლიოთეკა.

1911 წლის I იანვრისთვის საზოგადოებას აქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები:

		დაარსებულია. პასუხის მკვებელი გამგეა.
ტფილისში:	ვერისა	1894 წ. ან. წერეთელი
	ნაძალადევისა	1901 ტ. ხმიადაშვილი
	ავლაბრისა	1909 ჰ. მამრადე და 1910 წ. კი შ. მიქელაძე.
	ავქალისა	1909 ელ. დანილენკო
	დიდუბისა	1910 ალალო თუთაევი
	მარტყოფისა	1909 მლ. ა. ვეიტაშვილი
	ქარელისა	1908 მლ. იას. ოქროპირიძე
	ქვემოქალისა	1909 თ. ის. ჯავახიშვილი
	ახალციხისა	1895 მლ. ბ. კანდელაკი
	უდისა	1897 ივ. მერაბიშვილი
	ხონისა	1901 მიქ. ქუთათელაძე

12

დიდიჯიხაიშისა	1898	გერ. ნუცუბიძე
ტობანიერისა	1908	მლ. იუს. მამფორია
მათხოჯისა	1908	მლ. ბ. მელაძე
მუხიანისა	1909	ს. ჯინჭველაშვილი
ს. ქვიტირისა	1909	გრ. კანდელაკი
საქილაოსი	1909	მლ. ონ. ხუნდაძე
ყვირილისა	1909	თ. ნანეიშვილი
მუხურისა	1908	არისტ. გაბრიჭიძე
ახალსენაკისა	1909	მლ. დ. პარკაია
ქრებალოსი	1909	დიმ. ყიფიანი
ძვევრასი	1910	არ. ჯავახიშვილი
ბორჯომისა	1910	ნიკ. ჯომარჯიძე

V.

საზოგადოების განყოფილებანი.

1. ახალსენაკისა, (1909) გამგეობის თავმჯდომარე ~~ლუკა~~  
~~უაწყანო. წევრები—~~ პოლიკარპე ლორთქიფანიძე და ოლგა  
ხოფერია.

2. ბათუმისა, (1909 წ.) გამგეობის თავმჯდომარე გიორ-  
გი ყურული. წევრები—ეკვთიმე ბერძენიშვილი, ნიკოლოზ  
გოგიტიძე, პეტრე მეფ-საშვილი, ალექსანდრე მსხიკაძე, ნიკ.  
საბაშვილი და ალექსანდრე შატილოვი.

3. ბაქოსი, (1909 წ.) გამგ. თავმჯდ. მიხეილ თაქთაქი-  
შვილი, წევრები: ვლად. ახოძაძე, პლ. გელოვანი, დ. თედო-  
შვილი, სვ. კვიციანიშვილი, ანტ კოჩინევი, რაქდენ ნაცვლი-  
შვილი, ვას. ხუჩუა, ეფ. მესხი, 12 მაისს 1910 წ. საზოგა-  
დო კრებამ კიდევ აირჩია ხუთი წევრი, 1. ახვლედიანი ვ.,  
2. გრ. ქებაძე, 3. მიხ. ნასიძე, 4. ივ. ელიაშვილი და 5. დ.  
ჯორჯიკია. წლის განმავლობაში ეფ. მესხმა თავი დაანება გამ-

გეობაში სამსახურს, მის მაგიერ მოწვეულ იქნა კანდ. მიხ. კალანდარიშვილი.

**4. კავკავისა.** (1909 წ.) გამგეობის თავმჯდ. ტიტე კახიძე, წევრები: ივ. ფიცხელაური, ვას. ზირაქიშვილი, პ. მეფურნიშვილი, გრ. ბურდული, პავლე გედევანიშვილი, ის. ელერდაშვილი, მოსე კალანდარიშვილი, თ-დი იასონ . ლორ-თქიფანიძე, იასონ მაისურაძე, ზაალ მქედლიშვილი, მღვ. გიორ-გი ნათაძე, ივ. ნადიბაიძე, თომა სარაჯიშვილი, ადამ ფორა-ქაშვილი, ნესტორ ლამბარაშვილი, იოსებ შვილიევი.

**5. სამტრედიისა** (1909 წ.) გამგ. თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, წევრები: ვასილ ასათიანი, გიორგი ღუნღუა, ელისო კალანდაძე, ირ. სიხარულიძე, გრ. ურუშაძე და ილია ჯაში.

**6. ქუთაისისა** (1909 წ.) გამგ. თავმჯდომარე გ. ზდანო-ვიჩი, წევრები: იასონ ბაქრაძე, ბართლომე მოსეშვილი, იოსებ ოცხელი, იაკობ ფანცხავა, სამსონ ყიფიანი და სილ. ხუნდაძე.

**7. ყვირილისა** (1909 წ.) გამგ. თავმჯდომარე კნ. ბარბა-ლე წერეთელი, წევრები: მლ. კონსტანტინე დვალი, ვარლ. გარდავაძე, მ. გაჩეჩილაძე, ბესარ. კელენჯერიძე, პლ. კიკნა-ველიძე, ნ. მესხი.

**8. ქიათურის** (1909 წ.) გამგ. თავმჯდომარე კიტა აბა-შიძე, წევრები: ივ. გომელაური, ირ. დეკანოზიშვილი, ალ. მითაიშვილი და სოფრ. ტარუაშვილი.

**9. ხონისა.** (1909 წ) გამგ, თავმჯდომარე ალექსი ქიქი-ნაძე, წევრები: მათე ბახტაძე, გრიგოლ ბურჭულაძე, პოლ. კიკალიშვილი, ივ. შარაშიძე და ლავ. ჩიმაკაძე.

**10. თელავისა** (1909 წ) გამგ. თავმჯდომარე თ. მაქსი-მილ: ქავჭავაძე, წევრები: ვასილ კახიძე და ნიკ. მამინაიშვილი.

11. სოხუმისა (1909 წ.) გამგ. თავმჯდომარე კნ. მარ. ანჩაბაძისა, წევრები: დესპინე გელოვანი, კნ. ანნა ავალიშვილი, ოლგა გოგრიჩიძე, სპ. ღუნდუა, ნიკ. თავდგირიძე, ვლ. მახვილაძე, ნინო თურქია, გაბუ თურქია, რაქდენ კაკუბავა, გრაფ. ელენე სოლოგუბისა, აღ. სანაძე, ნიკ. ჩიქოვანი, კორნ. ჯუღელი, ანთ. ჯუღელი და ივ. ცეცხლაძე.

12 ფოთისა (1910 წ.) თავმჯდომარე იონა მეუნარგია, გამგ. წევრნი: ვლადიმერ იესეს ძე გაგუა, იოსებ ივანეს ძე კობრეიძე, აღ. იაგულოვი, ლავრ. წულაძე, იასონ ალექსიშვილი.

13. ბორჯომისა (1910 წ.) თავმჯდომარე ვლ. ყიფიანი, წევრები: მიხეილ ქიმერიძე, ზაქარია დანელია და ნ. ჯომარდიძე. წლის განმავლობაში თავმჯდომარემ ვლ. ყიფიანმა თავი დაანება თანამდებობას, მის მაგიერ არჩეულ იქნა ნიკ. ჯომარდიძე.



**განყოფილებათა შემოსავალ-**

**შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი**

განყოფილებანი.	შემოსავალი											
	წვერთა რაოდენობანი.	წარსული წლის ნაშთი	საწვერო ფული	ბაგეიდან, ქალაქის თვითმართველობის.	საღამო, კონცერტი, სეირნობისაგან.	შემოწირულება.	ყულაბკით.	სესხი	სხვა	სულ	სახლის ქირა.	
1909 წ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
1 ახალ-სენაკის	97	—	129	—	607 68	207 65	—	—	58	—	10	40
2 ბათუმის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3 ბაქოს . .	140	—	421 50	—	1004 89	1882 90	—	—	115 58	—	34	00
4 კავკაზის	164	1383 82	958 50	—	2259 81	200 29	—	—	200 40	—	50	—
5 სამტრედიის	38	—	54	—	333 14	—	—	—	15	—	—	—
6 ქუთაისის	—	—	385	—	405 04	49 16	46 72	—	—	—	—	—
7 ყვირილის	59	—	123 30	—	136 43	117	—	—	5 40	—	—	—
8 ტიათურის	40	—	36	—	57 23	—	—	—	—	—	—	—
9 ზონის . .	33	—	21	—	169 09	222 95	—	—	47 23	—	—	—
10 თელავის .	55	—	165	—	—	282 87	—	—	—	—	—	—
	<b>626</b>	<b>1383 82</b>	<b>2293 30</b>	<b>—</b>	<b>4973 31</b>	<b>2962 82</b>	<b>46 72</b>	<b>—</b>	<b>441 61</b>	<b>12</b>	<b>—</b>	<b>165</b>
<b>1910 წ.</b>												
1 ახალ-სენაკის.	69	724 60	109 50	—	208 64	3	—	—	—	—	—	—
2 ბათუმის .	161	96 94	707	500	2133 70	120 90	—	1400	—	—	—	52 8
3 ბაქოს . .	73	1501 09	315	—	3520 10	1576 69	—	—	172 99	—	—	778 8
4 ტიათურის	35	59 97	—	—	—	—	—	—	74 45	—	—	—
5 ფოთის . .	73	—	219	—	166 75	—	—	—	—	—	—	—
6 ბორჯომის	30	—	140	—	230	55 55	—	—	100	—	—	—
	<b>441</b>	<b>2382 60</b>	<b>1490 50</b>	<b>500</b>	<b>6259 19</b>	<b>1756 14</b>	<b>—</b>	<b>1400</b>	<b>347 44</b>	<b>—</b>	<b>831</b>	<b>19</b>

გ ა ს ა ვ ა მ ა

გ ა ს ა ვ ა მ ა

სახლის ქირა.		ინვენტარი.		გათობა და განათება.		საკანცელარო და წერილმანი.		კურნალ-ვაზეთები და წიგნები.		ბიბლიოთეკის შენახვა.		ჯამაგირი მასწავლებელთა და მსახ.		სასწავლო ნივთები.		მოფარ გამგეობას 20% შემოსავლისა.		სხვა		სულ	
მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
40	—	122	10	494	—	11	98	33	71	30	—	—	—	—	—	—	—	35	—	277	73
300	—	561	26	72	50	108	01	—	—	—	—	473	15	96	44	102	—	210	42	1923	78
—	—	692	83	586	54	180	66	10	90	—	—	2533	—	—	—	—	—	185	50	4189	43
—	—	218	09	—	—	10	51	—	—	69	11	—	—	—	—	80	43	24	—	402	14
—	—	7	24	—	—	31	96	17	50	—	—	—	—	—	—	—	—	130	20	186	90
—	—	50	85	—	—	78	43	67	39	48	—	—	—	—	—	—	—	92	65	337	32
—	—	—	—	—	—	14	62	—	—	—	—	—	—	—	—	18	64	—	—	33	26
—	—	—	—	—	—	12	—	—	—	140	10	—	—	—	—	—	—	291	19	443	29
—	—	—	—	—	—	23	18	—	—	—	—	—	—	—	—	90	—	—	—	113	18
210	—	1652	37	663	98	471	35	129	50	287	21	3006	15	96	44	291	07	968	96	7907	03
1	—	—	—	—	—	—	—	—	—	838	67	—	—	—	—	—	—	11	—	849	67
4	—	52	89	397	95	104	22	44	25	—	—	3500	—	—	—	—	—	846	77	4946	08
7	—	778	30	119	75	106	55	29	33	89	42	2100	—	111	47	307	58	368	80	6211	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	14	89	30	99	45	88
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	44	15	44	15
—	—	—	—	—	—	60	—	—	—	300	—	—	—	—	—	—	—	90	91	450	91
41	—	831	19	517	70	270	77	73	58	1228	09	5600	—	111	47	322	47	1392	62	12547	89

## სკოლების მდგომარეობა.

190<sup>8</sup>/<sub>9</sub> და 190<sup>9</sup>/<sub>10</sub> წლებში „წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოების გამგეობის უწყებაში იყო შემდეგი სკოლები: ბათუმის, წინარების, ძველი-სენაკის, კავკავის, გომარეთის, ყალამშიის, საგურამოს, გიორგი-წმინდის, საგარეჯოს და ნავთლულის. ამათში საგარეჯოს სკოლა არსებობდა მხოლოდ ერთ წელიწადს, შემდეგ დაიკეტა უსახსრობის გამო. ამ წლიდგანვე გაიხსნა სკოლა სოხუმში, 1909 წლიდან ბაქოში ადგილობრივ განყოფილების მიერ. 1910 წლის 1 ენკენისთვიდან გაიხსნა სოფელ გერგეთში სკოლა, რომლისთვისაც მასწ. ჯამაგირს კისრულობს გამგეობა. ამ წლებში ზემოდ მოხსენებული სკოლები დაათვალიერეს გამგეობის წევრებმა ლ. ბოცვაძემ და პ. სურგულაძემ. ზოგი კი დაუთვალიერებელი დარჩა. როგორც საზოგადო კრებასაც მოეხსენება, ჩვენი სკოლების საერთო ნაკლს შეადგენდა ის გარემოება, რომ სკოლებს არ ჰქონდათ დროს შესაფერისი საერთო პროგრამა ყველა საგნებისა; საჭირო იყო ძველი პროგრამის შეესება-შესწორება. გამგეობამ უკვე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, დაბეჭდა ცალკე ვრცელი პროგრამები, სწავლაში ხელსაწყო ნივთების ჩვენებით დაუგზავნა ყველა სკოლებს და 1910 წლის 1 ენკენისთვიდან სავალდებულოდ გახდა მისი განხორციელება სკოლებში. ზოგს სკოლებს, რომელთაც საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით (ყალამშიის, გომარეთის და წინარებისას) გამგეობამ ახალ პროგრამებთან ერთად სწავლაში საჭირო ხელსაწყო ნივთებიც დაუგზავნა. ამ სახით გამგეობამ უკვე სისრულეში მოიყვანა საზოგადო კრების აზრი ამ საგნის შესახებ.

190<sup>8</sup>/<sub>9</sub>, 190<sup>9</sup>/<sub>10</sub> წლებში დათვალიერებულ იქნა შემდეგი სკოლები: 1) ბათუმის 1909 წლის მაისის 19 და 20 და 1910 წელს მაისის 22, 2) ძველი-სენაკის სკოლა 1909 წელს 21 და 23 მაისს და 1910 წელს 24 მაისსა, 3) წინარებისა 1909



წ. 6 და 7 მაისს, 4) კავკავის სკოლა 1909 წ. 19, 20, 21 და 22 მაისს, 5) საგურამოს სკოლა 1909 წლის 1 ივნისს და 1910 წლის 10 აპრილს, 6) ყალამშიის სკოლა 1909 წლის 7 მაისს, 7) გომარეთის სკოლა 1909 წლის 9 მაისს, 8) გიორგიწმინდის სკოლა 1909 წლის 22 აპრილს, 9) საგარეჯოს სკოლა 1909 წლის 23 აპრილს, 10) ნავთლოლის სკოლა 1910 წლის აპრილში და მაისში.

რევიზორებმა წარმოუდგინეს გამგეობას ვრცელი ანგარიშები ხსენებულს სკოლებში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ ყოველ ღირსება-ნაკლულევიანების ჩვენებით. გამგეობამ განიხილა ეს მოხსენებანი და მიიღო სათანადო ზომები ნაკლულევიანებათა გასასწორებლად. პირი რევიზორთა მოხსენებისა ეგზავნებოდათ სკოლებს და ევალებოდათ მიექციათ ყურადღება იმ შეცდომებისათვის, რაც რევიზორთ ჰქონდათ მოხსენებული თავიანთ ანგარიშში.

კერძოთ თითოეულს დათვალიერებულს სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე რევიზორების მოხსენების მიხედვით მოკლედ ასე გამოიხატება:

**1. ბათუმის სკოლა.** საერთოდ ბათუმის სკოლაში 1909 წელს მოწაფეებს სწავლა-აღზრდაში საკმარისი წარმატება ეტყობოდათ, მაჰმადიანთ მოწაფეთა რიცხვი შედარებით გაბევრდა, მასწავლებლებსაც ბეჯითად უმუშავნიათ; სკოლის ნაკლს შეადგენდა ზოგიერთ განყოფილებაში წერით მცირე სავარჯიშოები და თითქმის უარყოფა ისეთის სავარჯიშოებისა, რომელიც ხელს უწყობს მოწაფეს თავისუფლად აზრის გამოთქმას, და არითმეტიკის ორის მოკმედების სუსტად ცოდნა მესამე განყოფილებაში. ამასთანავე რევიზორი აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ საგნებს, როგორც მაგალითად ხატვა-ხაზვას და გეომეტრიას, სკოლაში სრულიად არ ასწავლიდნენ. მაგრამ 1910 წელს სკოლის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნულის ნაკლისათვის წლის განმავლობაში შესაფერისი ყურადღება მიექციათ და საერთოდ სწავლა-აღზრდის საქმე ბათუმის სკო-

ლაში უფრო წესიერად ყოფილა დაყენებული. მხოლოდ უფრო სუსტი ცოდნა საღვთო სჯულში გამოუჩენიათ, რასაც იმ პროგრამით არ ასწავლიდნენ, რაც საზოგადოების სკოლებშია შემოღებული და ამ საგნის სწავლებაც დაეკისრათ მასწავლებელი ქალისათვის, რომელსაც ამ საქმეში გამოცდილება არ ჰქონდა. საზოგადოთ სკოლას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. თავის მოხსენების ბოლოში რევიზორი აღნიშნავდა ბათუმის სკოლის გამგის **ივლიანე გოგოლაშვილის** ღვაწლს სამასწავლებლო ასპარეზზე და შუამდგომლობდა გამგეობის წინაშე გამოეძებნათ რაიმე წყარო და დაენიშნათ პენსია გოგოლაშვილისათვის. სამწუხაროდ, გამგეობამ თავის მხრით ვერაფერი წყარო ვერ გამოძებნა ამ საგნისათვის, და მხოლოდ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის თავად-აზნაურობისა და ბათუმის განყოფილების წინაშე, რომ მათ გაეწიათ ხარჯი გოგოლაშვილის პენსიისათვის. ბათუმის განყოფილებამ სიამოვნებით მიიღო გამგეობის წინადადება და აღუთქვა მონაწილეობა ამ საქმეში, რაც შეეხება ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებას, ჯერ-ჯერობით არავითარი პასუხი არ მოუტია შუამდგომლობაზე.

**2. სენაკის სკოლა.** 1909 წელს რევიზორის მოხსენებით „სენაკის სკოლა, სხვა სკოლებთან შედარებით, ერთი საუკეთესო სკოლაა, განსაკუთრებით I და IV განყოფილება საანგარიშო წელს წუნ-დაუდებელია. მასწავლებლებიც მუყიათად მუშაობენ და საქმეც კარგათ მიჰყავთ“. რევიზორი უჩვენებს ნაკლულევენებასაც, მაგალითად, მესამე განყოფილებაში არითმეტიკაში აღმოჩნდნენ შიგა და შიგ სუსტი მოწაფენი და ხატვის სწავლებაც მასწავლებლებს სასურველად ვერ ეხერხებათ, მეორე განყოფილებაში ქართულ კითხვაში მოწაფეები საკმარისად ვერ იყვნენ გავარჯიშებულნიო, მაგრამ ამ გარემოებას რევიზორი მიაწერს მასწავლებლის ხშირს ავადმყოფობას. 1910 წლის მოხსენებაში რევიზორი საერთოდ აღნიშნავს, რომ „სენაკის სკოლა მეტად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. მასწავლებლები სწავლებაში დახელოვნებულნი არიან, საქმე კარ-

გად ესმით და კარგადაც უძღვებიანო, ბევრს მუშაობენ და ზოგს საგნებშიაც პროგრამაზედაც გადუმეტებიანო; მაგრამ რევიზორი აღნიშნავს აგრეთვე მესამე განყოფილების სისუსტეს წერით ანგარიშში. რევიზორს შეუნიშნავს აგრეთვე, რომ ზოგი მასწავლებელი შინაური საკუთარი საქმეების გამო იძულებული გახდარა გაკვეთილებზე არ ევლო, თუმცა ამ გაკვეთილებს არ მომცდარან მოწაფეები, რადგანაც ამ დროს სკოლის გამგე აძლევდა გაკვეთილებს. ასეთი მოკიდება თავის მოვალეობისთვის გამგეობას უხერხულად მიაჩნია, რაზედაც მან მიაქცია სკოლის გამგის ყურადღება.

**წინარეხის სკოლას**, რევიზორის სიტყვით, სწავლა აღზრდის მხრით კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. „მოწაფეები საზოგადოთ კარგად ყოფილან მომზადებულნი, განსაკუთრებით ქართულ ენაში, აკლდათ ვარჯიშობა რუსულ ლაპარაკში. მოწაფეებს ყველა სასწავლო საგნიდან არსებითი მხარე საგნისა საკმაოდ შეთვისებული ჰქონიათ; საკმარისი განვითარება და მომზადება ეტყობოდათ. მასწავლებელს ბევრი შრომა გაუწევია ოთხ განყოფილებასთან მეცადინეობის დროს. წესიერება სკოლაში და დამოკიდებულება მოწაფეთა და მასწავლებლის შორის წუნდაუღებელია, რაც შეადგენს მასწავლებლის პიროვნების ნამდვილ ღირსებას.“.—დასასრულ რევიზორი აღნიშნავს მასწავლებლის ნივთიერს ხელმოკლეობას. ის იღებდა თვეში საზოგადოებისაგან მხოლოდ 15 მანეთს, სოფლიდან შეკრებილი ფული კი შეჰქონდათ ხაზინაში ღირექციის სახელზე და იქიდან ამ ფულის აღება ძლიერ გაძნელდა. ვიდრე ამ ფულს ავიღებდით, რევიზორის შუამდგომლობით მიეცა სესხად მასწავლებელს გიუნაშვილს საზოგადოების თანხიდან 100 მანეთი. შემდეგ გამგეობამ მიიღო ღირექციისაგან წინარეხის სკოლის ფული მთლად და მასწავლებელიც დაკმაყოფილებული იქმნა. წინარეხის სკოლასთან დაარსებულ იქინა სამზრუნველო, რომლის წევრებად სოფლის

მიერ არჩეულ იქმნენ გოლა არევაძე, ვანო მარჯანიძე და დათა შარმანაშვილი.

**კავკავის სკოლა.** როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, კავკავის სკოლის დასაბუთებლად გაგზავნილი იქმნა 1909 წ. გამგეობის წევრი პ. სურგულაძე, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა მრავალი ნაკლულევიანება სწავლა-აღზრდის საქმისა სკოლაში. რევიზორის მოხსენების განხილვის შემდეგ გამგეობა მივიდა იმ დასკვნამდის, რომ კავკავის სკოლაში ამ წელს სწავლა-აღზრდის საქმე ცუდად ყოფილა დაყენებული, მასალა თითქმის ყველა საგნებიდან ცოტა გაუფლიათ და რაც უსწავლიათ ისიც ცუდათ სკოდნიათ. გამგეობამ სამწუხაროდ აღნიშნა ეს ფაქტი და ახსნა იმ გარემოებით, რომ თავის დროზე პედაგოგიურს საბჭოს თავის მოვალეობისადმი ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება, ვერ გამოუჩინია ის ენერგია და სიყვარული საქმისადმი, ურომლისოდ სკოლის წინმსვლელიობა შეუძლებელია. ყველა შენიშვნები სკოლის შესახებ ეცნობა ადგილობრივ განყოფილებას და პედაგოგიურს საბჭოს საყურადღებოდ. ამასთან გამგეობამ საქიროდ დაინახა კავკავის სკოლის მასწავლებლის სამსახურიდან გადაყენება, მაგრამ ადგილობრივის განყოფილების შუამდგომლობით ისევ დატოვებულ იქმნა და მან ერთის წლის შემდეგ თვითონ დაანება თავი სკოლაში სამსახურს.

**საგურამოს სკოლა.** 1909 წელს საგურამოს სკოლაში ერთი განყოფილება იყო. სკოლა გაიხსნა 1909 წლ. 9 იანვარს; წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზოგი მოწაფეები საკმარისად ვერ იყვნენ გავარჯიშებულნი კითხვაში. სხვაფრივ სკოლა კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. მოწაფეებს ბეჯითობა ეტყობოდათ, მათ ეტყობოდათ, რომ სწავლაც შეყვარებოდათ და მასწავლებელიც, რომელიც სასურველად ეპყრობოდა მოწაფეებს და პირადის გავლენით და სწავლებით სწავლა-აღზრდის მხრით საუკეთესო თვისებებს უნერგავდა მოწაფეებს. მასწავლებელს, რევიზორის სიტყვით, ხალხის პატივისცემაც დაუმი-

სახურებია. 19<sup>09</sup>/<sub>10</sub> წელს საგურამოს სკოლაში ორი განყოფილება იყო. სკოლის დათვალეობის დროს მოწაფეებს საკმარისი. ცოდნა გამოუჩინათ ყველა საგნებიდან. რევიზორის მოხსენებით საჭირო იყო სასკოლო ოთახის შეკეთება, რასაც მასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვით სჭირდებოდა 123 მანეთი. ეს საჭიროება გამგეობამ უკვე დააკმაყოფილა. თუმცა სოფელმა სკოლის გახსნის დროს აღუთქვა სკოლის მოსამსახურე თავისი ხარჯით, მაგრამ ბოლოს ეს აღთქმა ვერ შეასრულა, ამიტომ გამგეობამ გადაუწყვიტა მასწავლებელს მსახურისათვის ჯამაგირად 70 მანეთი.

**ყალამშიის სკოლა.** 1909 წელს ყალამშიის სკოლაში სამი განყოფილება იყო. რევიზორის აზრით სკოლაში „სწავლა საზოგადოთ წესიერად ყოფილა დაყენებული, მასწავლებელს მუყაითად უშრომია, გავლილი მასალა მოწაფეებს კარგად და შეგნებით შეუთვისებიათ. უკოთხავთ გარეშე წიგნებიც და საერთოდ მოწაფეებს საკმარისი მომზადება ჰქონიათ, მხოლოდ რევიზორს შეუნიშნავს, რომ საწერი მასალა არ ყოფილა ისეთი, რომ ბავშვებს მეტი შეძლება ჰქონოდათ დამოუკიდებელი აზროვნება გამოეჩინათ.

**გომარეთის სკოლა.** 1909 წელს გომარეთის სკოლა ფრიად სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. რევიზორი სკოლის ჩამოკვეითებას მასწავლებელს აბრალებს. რევიზორის სიტყვით, პირველ განყოფილებაში ბევრმა კითხვა არ იცოდა, ანბანს ვერ არჩევდა, წაკითხული არ ესმოდა, მეორე განყოფილებაშიც იგივე არაარობა ცოდნის მხრით და სხ. გამგეობამ მოხსენების განხილვის შემდეგ დაუყონებლივ დაითხოვა სამსახურიდან გომარეთის სკოლის მასწავლებელი და გაამწესა სხვა, რომელმაც დღეს სკოლას მეტი სახელი და ნდობა მოუპოვა ადგილობრივ მცხოვრებლებში.

**გიორგიწმინდის სკოლა.** 1910 წელს რევიზორის ანგარიშიდან სჩანდა, რომ საზოგადოთ მასწავლებელს მუყაითობა ეტყობაო. ამასთანავე რევიზორი აღნიშნავს, რომ წერა-კით-

ხვას მასწავლებელი ერთსა და იმავე დროს არ ასწავლისო, ანბანის სწავლების დროს მოწაფეები მარტო ასოებსა სწერენო და სხვ.

**ნავთლულის სკოლა.** სკოლა გაიხსნა 1909 წლის 5 დეკემბრისთვის. სკოლაში იყო ორი განყოფილება. სწავლა-აღზრდის საქმე სკოლაში წესიერად იყო დაყენებული და წლის ბოლოს მოწაფეებმა ყველა საგნებში საკმარისი ცოდნა გამოიჩინეს. მაგრამ ამ სკოლის საქმის წესიერად წარმოებას მეტად უშლის ხელს უსახსრობა. სკოლის შენახვა და ნივთიერი საშუალების გამოჩენა ადგილობრივ არჩეულმა სამზრუნველომ მიიღო თავის თავზე და საზოგადოება მხოლოდ მკირვოდენ დახმარებას უწევდა. მაგრამ ადგილობრივი სამზრუნველო ვერ აღმოჩნდა ენერგიანი მოთავე ამ საქმისა და სკოლა ამის გამო დიდს განსაცდელში ჩავარდა. მასწავლებლებს (სკოლაში ორი მასწავლებელია) თვიურად 20 მანეთს აძლევდნენ და ამ მკირვე ჯამაგირის გადახდაც კი ვერ შესძლეს. მოწაფე ქალებს სკოლაში ხელსაქმესაც ასწავლიან. ეს საგანი, რევიზორის სიტყვით, ძლიერ კარგად არის დაყენებული. გამგეობამ, რევიზორის მოხსენების განხილვის შემდეგ, ნავთლულის სკოლის მასწავლებლებს ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილის ხარჯის გარეშე ზედ მეტად მისცა ოც-ოცი მანეთი თითოს და მასთან აღძრა შუამავლობა ქალაქის თვითმართველობის წინაშე ნავთლულის სკოლისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ქალაქის თვითმართველობამ აღუთქვა საზოგადოებას წლიურად 500 მანეთი. ამის იმედით გამგეობამ სკოლა გადაიტანა უკეთესს შენობაში, რაშიაც იხდის წლიურად 120 მანეთს და ცდილობს ამ სკოლის საქმეების გაუმჯობესობას.

1910 წელში გამგეობამ ვერ მოახერხა რევიზია მოცხდინა კავკავის, ბაქოს, წინარების, ყალამშიის და გომარეთის სკოლებში, ვერ მოახერხა აგრეთვე დაეთვალიერებინა შემდეგი ბიბლიოთეკები: მარტყოფის, ქარელის, ქვემოქალის, ახალციხის, უდის, ხონის, ტობანიერის, მანთხონჯის, ქვიტირის,

ჩოხატაურის, გომახურის, საჯავახოს, მუხურის, კრებალოს, ძევერის და ბორჯომის, აგრეთვე განყოფილებანი: ბაქოს, კავკავის, ხონის, თელავის, სოხუმის და ფოთის.

გამგეობას განზრახვა ჰქონდა გაემართა საკვირაო სკოლებიც, მაგრამ ამაში წინ გადაეღობა დაბრკოლება დირექციის მხრით, რომლისაგანაც გამგეობამ თავისს შუამდგომლობაზე პასუხად მიიღო, რომ საკვირაო სკოლებში სწავლება რუსულად უნდა სწარმოებდესო. ამ საგნის შესახებ გაიმართა მიწერ-მოწერა დირექციასთან, მაგრამ უკანასკნელი მაინც თავისს აზრზედ დარჩა და გამგეობამაც დროებით შეაჩერა განსაჩივრება. ამ გვარივე ბედი ეწია მასწავლებელთათვის განზრახულის კურსების მოწყობის საქმესაც. გამგეობამ 1909 წ. და 1910 წ. ორჯერ აღძრა შუამავლობა სათანადო მთავრობის წინაშე მასწავლებელთათვის კურსების მოწყობის შესახებ, მაგრამ ორივეჯერ ისეთი პასუხი მოგვივიდა, რომ გამგეობამ მოუხერხებლად სცნო იმ პირობებში კურსების გამართვა.

საზოგადოების გამგეობას ძლიერ უჭირს თავის სკოლებისათვის რიგიანი მასწავლებლის შოვნა. ამის ერთი მიზეზთაგანი ჯამაგირის სიმცირეა. დღეს მასწავლებლები დირექციის სკოლებში შედარებით მეტს ჯამაგირს იღებენ, ვიდრე ჩვენს სკოლებში. ამის გამო, ცოტად თუ ბევრად რიგიანი მასწავლებლები ჩვენი სკოლებისა გადადიან დირექციის სკოლებში და ზოგჯერ შუა წელში სტოვებენ სასწავლებელს, როცა მასწავლებლის შოვნა მეტად ძნელია. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად გამგეობას სასურველად მიაჩნია მიუმატოს ჯამაგირი იმ სკოლის მასწავლებლებს, რომელთაც საზოგადოება პირდაპირ თავის ხარჯით ინახავს. გამგეობის აზრით საჭიროა ამ სკოლების ახლად მიწვეულ მასწავლებლებს დაენიშნოს თვეში არა ნაკლებ 35 მანეთისა და ყოველი ხუთი წლის სამსახურის შემდეგ წლიურად 60 მანეთი ემატებოდეს.

უპირველესი და უმთავრესი მიზანია წერა-კითხვის გამავრ-

ცელებელის საზოგადოებისა, ლოგორც ეს აღნიშნულია წესდების პირველ მუხლში, ხელი შეუწყოს წერა-კითხვის და დასაწყისის განათლების გავრცელებას კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის. საუბედუროდ, ეს დიადი საგანი საზოგადოების მოქმედობისა დღემდის მიუღწეველია, ვინაიდან საზოგადოებას არც საკმარისი რიცხვი სკოლებისა გაუმართავს, არც საკმარისი რიცხვი ბიბლიოთეკებისა დაუარსებია, არც ბევრი უსაქიროესი სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნი გამოუცია, არც გაუმართავს ხალხისათვის საკითხავი და ლექციები და თვით ის სკოლები და ბიბლიოთეკები, რომელნიც დაუარსებია, ვერ არიან კარგ ნიადაგზე დამყარებულნი. მართალია ამ გარემოებას თვისი ღრმა მიზეზი აქვს, რომლის მოსპობა, ექვს გარეშეა, საზოგადოების ხელთ არ არის; მაგრამ მასთან ექვს გარეშეა ის გარემოებაც, რომ მთელი ყურადღება საზოგადოების წერა-კითხვის და პირველ-დაწყებითი განათლების საქმეზე რომ იყვეს მიქცეული, ამ სფერაში ბევრი რამ გაკეთდებოდა. დრომ და ვითარებამ ათასი სხვა-და-სხვა საქმე მოახვია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ამ საქმეების მოწეს-რიგებამ უპირველესი საგანი და მიზანი მეორე რიგზე გადააყენა და სწავლა-განათლების საქმე ძრიელ შეფერხდა. ვიმეორებთ, არის ღრმა მიზეზები, რომელნიც ჩვენი საერთო მდგომარეობით განისაზღვრებიან და რომელთა მოსპობა არ ძალუძს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მაგრამ იმ ფარგალშიც, რომელშიაც მოქმედება ნება-დართულია, ცოტა რამ კეთდება, ვინაიდან ტფილისში მყოფ გამგეობას არ ძალუძს მკიდრო კავშირი დაიკავოს ამა თუ იმ ადგილებთან და ადგილობრივი საზოგადოება გააფხიზლოს და სწავლა-განათლების საქმისათვის ხელი მოაკიდებინოს. ამგვარი მოქმედება მეტად უფრო ძნელია სოფლად. სოფელს კი უნდა მეტი ხელის შეწყობა, წამართვა. ეს იყო ერთად ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ სამი წლის წინათ არჩეულმა გამგეობამ ადგილობრივი განყოფილებები დააარსა. უკანასკნელ-



თა დაარსებით საზოგადოების გამგეობას სურდა ადგილობრივი ძალები აემუშავებინა, დაბნეული ინტელიგენტა მუშაობა შეეჩერებინა სწავლა-განათლების საქმეზე და ამ კულტურული მიზნით შეერთებულ ადგილობრივ საზოგადოებას მეტი უნარი გამოეჩინა ჩვენი განათლების წინსვლაში და წარმატებაში.

საუბედუროდ ადგილობრივი განყოფილებებიც იმ დროს დაარსდნენ, როცა საზოგადოებრივი მოქმედება საერთოთ მთელს რუსეთში შეჩერდა, და ამისათვის ადგილობრივმა განყოფილებებმაც ვერ გაუწიეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ის სამსახური, რომელსაც თვით საზოგადოება და გამგეობა მათზე ამყარებდა. რასაკვირველია, იმედი არ უნდა დავკარგოთ. მოვა დრო და თავის მოვალეობას ადგილობრივი განყოფილებები შეასრულებენ, უფრო ენერგიულად დაიწყებენ მუშაობას და ნაყოფი მათი მოქმედებისა უფრო შესამჩნევი იქნება, ვიდრე დღეს. ავად თუ კარგად ადგილობრივი განყოფილებები ამა თუ იმ კუთხეში ჩვენი საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილებს კულტურულის მოქმედების ნიადაგზე აერთებს.

მაგრამ ამით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა სწავლა-განათლების გასაუმჯობესებლად სხვა რამე საშუალება მოვნახოთ. ყველამ კარგად იცის, რომ შეუძლებელია რაიმე იმგვარი საშუალების მოძებნა, რომელიც ერთბაშად ჩვენი სწავლა-განათლების საქმეს რიგიან ნიადაგზე დაამყარებს. ამისათვის საჭიროა მთელი თანამედროვე სტრუქტურის შეცვლა, ყოველ შემთხვევაში ერობის შემოღება მაინც, რათა ამ დაწესებულებამ გაუწიოს სამსახური ჩვენ საზოგადოებას სწავლა-განათლების რიგიანად მოწყობის საქმეში. მანამდის კი ჩვენთვის საჭიროა გარდა ადგილობრივ განყოფილების დაარსებისა კიდევ ერთ საშუალებას მივმართოთ. ჩვენ სოფელს ხელმძღვანელი სჭირდება; ხშირად საჭიროა ხალხს საანბანო ქემ-მარიტება გაუმარტოს ადამიანმა; მიუხედავად იმისა, რომ დღეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრების

წარმატებისათვის ყველასათვის ცხადია, ჩვენ სოფელს არ აქვს სავსებით გათვალისწინებული სკოლის დიადი მნიშვნელობა მის ეკონომიურ ცხოვრების წინ სვლაში და ხშირად არა სურს სკოლისათვის ხარჯი გასწიოს. საჭიროა ჩვენს სოფელს ამ შემთხვევაში სამსახური გავუწიოთ და დავებმაროთ.

საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ პირველ რიგზე სად ვაიხსნას სკოლები და ბიბლიოთეკები, სადაა მოსახერხებელი მოძრავი სკოლები ავამუშაოთ; საჭიროა, მოვუყაროთ თავი ლექტორებს, რათა გავმართოთ ლექციები და სოფლელებს საჭირო ცნობები მივწოდოთ და სხვა.

შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-განათლება სოფლად; საჭიროა გვქონდეს ცნობები არა მარტო ჩვენი სკოლებისა, არამედ სამინისტროსი და სამრევლო სკოლების შესახებაც და მათ ხელმძღვანელ მასწავლებელთან გვქონდეს კავშირი.

გარდა ამისა საჭიროა თვალ-ყური ვადევნოთ სახალხო-განათლებას, არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიაც, და მისი გაცნობით ხელი შევეუწყოთ ჩვენში სწავლა-განათლების საქმის წინსვლას და მის მთესველს მასწავლებელს საჭირო ხელმძღვანელობა გავუწიოთ და ზედ-მეტად საძნელო მუშაობაში დროზე დავებმაროთ.

გათვალისწინება საჭირო განათლებისა და სკოლების მოწყობა დაანახევებს ვისაც ჯერ არს, თუ რა სახალხო გამოცემები და სახელმძღვანელოები იქნებიან უფრო საჭირონი, რომ საზოგადოებამ იკისროს მათი გამოცემა დროზე.

საჭიროა აგრეთვე სკოლების და ბიბლიოთეკების ხშირად დათვალიერება და ხელმძღვანელობის გაწევა, საუკეთესო მასწავლებლების არჩევა და სხ. დღევანდელი გამგეობის წევრები თრთქმის ყველანი დატვირთულნი არიან პირდაპირის მოვალეობით, სამსახურით და საზოგადოების საქმეებს ანდომებენ მხოლოდ თავისუფალ დროს. ამ სახით, თუ რომელიმე წევრი გამგეობისა მოიცლის და დათვალიერებს საზოგადოების რომელ-

სამე დაწესებულებას, ისიც ცოტა ხნით და შემთხვევით, რასაც ვერ მოჰყვება ისეთი ნაყოფი, რაც სასურველია. საჭიროა მეტი მჭიდრო კავშირი ყველა დაწესებულებებთან, რომელთაც ჩვენს საზოგადოებასთან აქვთ დამოკიდებულება, ხშირი რევიზია სკოლებისა, ბიბლიოთეკებისა, განყოფილებათა და სხვა. როცა ყველა ეს გამგეობამ გაითვალისწინა, შეუდგა საზოგადოების მიერ არა ერთხელ გამოთქმული სურვილის განხორციელებას, რომ მოიწვიოს საზოგადოების სკოლებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის და საზოგადოდ სწავლა-განათლების საქმისთვის პირდაპირი მეთვალყურე. გამგეობის აზრით სკოლების მეთვალყურეს უნდა დაენიშნოს წლიურად ჯამაგირს 1200 მანეთი და საგზაოთაც 600 მანეთი. ეს ჯამი გამგეობამ უკვე შეიტანა 1911 წლის ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც ამასთანავე წარუდგენს საზოგადო კრებას.

შედარებითი ცხრილი

ს კ ვ მ ე ბ ი

		წარსულ. წ. იყო სულ				საანგ. წლიდან გამოსტ.			
		I განყოფილება	II განყოფილებ.	III განყოფილებ.	IV განყოფილებ.	I განყოფილება	II განყოფილებ.	III განყოფილებ.	IV განყოფილებ.
<b>1909 წ.</b>									
1	ქუთისის სათ.-აზნ., დარსებულია ბათომის,	123	119	138	139	100	125	128	118
	1880 წ.								
	1881 წ.	43	42	29	17	56	48	47	47
3	წინარეხის,	45	25	14	5	36	48	—	—
	1882 წ.								
4	ძველი სენაკის სათ.-აზნ.	23	29	31	36	26	37	29	29
	1884 წ.								
5	კავკავის,	75	80	43	25	75	69	62	62
	1888 წ.								
6	გომარეთის,	63	—	—	—	63	—	—	—
	1897 წ.								
7	ყალამშის,	41	—	—	—	37	—	—	—
	1904 წ.								
8	საგურამოს,	28	—	—	—	36	—	—	—
	1908 წ.								
9	გიორგი წმინდის,	50	—	—	—	50	—	—	—
	1909 წ.								
		491	295	255	222	479	327	266	266
<b>1910 წ.</b>									
1	ბათომის	64	47	36	14	67	74	44	44
2	წინარეხის	44	22	11	7	—	—	—	—
3	ძველი სენაკის სათავად-აზნაურო	20	33	84	32	21	26	29	29
4	კავკავის	66	63	45	30	67	66	59	59
		194	165	176	83	155	166	132	132

მ ა რ ა თ ე ნ ი

	სამოსწავლო წლის დამლევს იყო სულ.	სქეს. მიხედვ.		სარწუნოების მიხედვით.			გადვილა შემდეგ განყოფილებაში.	სწავლა დაამთავრა.	დარჩა იმავე განყოფილებაში	რაოდენი დააკლდნენ გაკვეთილებას	რაოდენი გაკვეთილებს დააკლდნენ
		ქალი	კაცი	მართლმადიდებელი.	კათოლიკე.	მაჰმადიანი					
46	458	—	—	458	—	—	302	19	130	490	28631
29	161	—	—	141	4	6	116	11	31	113	6961
18	66	—	—	66	—	—	45	6	15	99	470
15	109	12	97	109	—	—	97	30	12	110	7570
40	204	—	—	204	—	—	160	27	17	—	12135
	11	—	—	—	—	—	11	—	9	—	—
6	31	—	—	—	—	—	23	4	8	600	2200
4	28	—	—	—	—	—	24	—	4	20	160
10	160	—	—	—	—	—	50	—	—	—	—
108	1128	12	97	978	4	6	828	97	226	1432	58127
62	151	—	—	126	9	16	102	17	28	143	8160
8	64	—	—	64	—	—	47	5	17	68	495
9	95	10	85	95	—	—	78	23	17	80	5129
29	204	—	—	204	—	—	149	39	16	—	10235
108	514	10	85	489	9	16	376	84	78	291	24019

ს კ ო ლ ე ბ ი		სკოლის შენობის ღირებულება.		სახელმძღვ ლოები.	
		ზან.	კ.	ცალი	მან.
<b>1909 წ.</b>					
1	ქუთაისის სათავად-აზ. სკოლა . . . . .	—	—	3120	2548
2	ბათუმის . . . . .	—	—	46	—
3	წინარეხის . . . . .	2000	—	27	38
4	ძველი სენაკის სათავად-აზნაურო . . . . .	16060	—	98	73
5	კავკავის . . . . .	33700	—	290	115
6	გომარეთის . . . . .	1000	—	109	48
7	ყალამშიის . . . . .	—	—	68	17
8	საგურამოს. . . . .	—	—	117	43
9	ბიორგი წმინდის . . . . .	2000	—	—	—
10	საგარეჯოს . . . . .	—	—	—	—
11	ხელთუბნის . . . . .	—	—	—	—
		<b>54760</b>	<b>—</b>	<b>3883</b>	<b>2878</b>
<b>1910 წ.</b>					
1	ბათუმის სკოლა. . . . .	—	—	78	—
2	წინარეხის სკოლა. . . . .	—	—	27	38
3	კავკავის სკოლა . . . . .	33700	—	290	115
4	ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა. . . . .	16080	—	108	73
		<b>49780</b>	<b>—</b>	<b>503</b>	<b>226</b>

წიგნი	საკითხ- წიგნები.		წიგნები მსწავ- ლებელთთვის.			სხვა სასწავლო წიგნები.			სკოლის ქონების ჯამი.				
	მან.	კ.	ცალი	მან.	კ.	ცალი	მან.	კ.	ცალი	მან.	კ.		
—	—	—	—	—	—	—	—	—	3120	2548	81	2548	82
42	—	—	203	—	—	144	—	—	2445	—	—	—	—
15	159	—	14	8	80	2	28	—	358	227	80	2227	80
32	356	74	934	1066	34	150	100	—	2412	1596	77	17656	77
30	128	—	1650	871	—	134	64	—	2564	1178	—	34878	—
32	32	—	—	—	—	—	—	—	241	80	—	1080	—
54	8	50	17	14	20	—	—	—	139	40	10	40	10
49	7	35	3	4	50	4	1	60	173	56	70	56	70
16	25	—	14	7	40	—	—	—	130	32	40	2032	40
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
30	716	59	2835	1972	24	434	193	60	11582	5760	58	60520	58
2	—	—	217	—	—	177	—	—	2514	—	—	—	—
57	165	—	20	9	80	2	28	—	406	234	80	2234	80
30	139	—	1650	871	—	134	64	—	2564	1178	—	34878	—
66	392	95	934	1066	34	155	112	50	2513	1650	84	17710	84
5	696	95	2821	1947	14	468	204	50	7997	3063	64	54823	64

სკოლების შემოსავალი

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

სკოლები	წარსული წლის ნაშთი		საწევრო ფული		სწავლის გადასახადი		ბანკიდან ან სოფლის საზოგადოებისგან		წ.-კითხვის საზოგადოებისგან		სალამო, კონცერტი, სეირობობისგან.		შემოწერილობა.		სხვა	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
1909 წ.																
1 ქუთაისის სათ.-აზ. სკ.	173	97	—	—	5000	—	11734	—	—	—	—	—	—	—	—	—
2 ბათუმის სკ.	639	89	402	—	430	—	500	—	55	44	3171	18	80	—	—	—
3 წინარების	—	—	—	—	—	—	—	—	260	55	—	—	—	—	—	—
4 ძველი სენაკის სათ.-აზ. სკოლა . .	1002	52	—	—	1020	50	4920	—	—	—	—	—	—	—	950	66
5 კავკაზის . .	1102	60	911	90	121	85	24	90	—	—	2447	73	505	—	598	75
6 გომარეთის	—	—	—	—	—	—	—	—	415	29	—	—	—	—	—	—
7 ყალამშიის	—	—	—	—	—	—	—	—	475	59	—	—	—	—	—	—
8 საგურამოს	—	—	—	—	—	—	—	—	359	78	—	—	—	—	—	—
9 გიორგი წმ.	—	—	—	—	—	—	—	—	21	60	—	—	—	—	—	—
10 საგარეჯოს	—	—	—	—	—	—	—	—	32	45	—	—	—	—	—	—
11 ხელთუბნის	—	—	—	—	—	—	—	—	25	—	—	—	—	—	—	—
	2918	98	1313	90	6572	35	17178	90	1645	70	5618	91	585	00	1549	41
1910 წ.																
1 ბათუმის სკ.	61	15	272	—	435	—	1400	—	—	—	2133	70	613	—	31	20
2 წინარებ. სკ.	—	—	—	—	—	—	—	—	229	90	—	—	—	—	—	—
3 ძველი სენაკის სათ.-აზ. სკ.	951	71	—	—	1015	—	4920	—	—	—	—	—	—	—	79	88
4 კავკაზის . .	789	—	941	—	—	—	1815	75	—	—	3424	50	300	—	203	78
5 გომარეთის	—	—	—	—	—	—	—	—	440	—	—	—	—	—	—	—
6 ყალამშიის	—	—	—	—	—	—	—	—	400	—	—	—	—	—	—	—
7 გიორგი წმ.	—	—	—	—	—	—	—	—	14	97	—	—	—	—	—	—
8 გერგეთის	—	—	—	—	—	—	—	—	163	15	—	—	—	—	—	—
9 ნავთლულის	—	—	—	—	—	—	—	—	55	—	—	—	—	—	—	—
	1801	36	1213	—	1450	—	8135	75	1303	02	5558	20	913	—	314	80



სკოლის შემოსავალი		მასწავლებელთა ჯამური		წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები		სკოლის მუშელო.		რემონტი		დაზღვევა		გალობა და განათება		მსახური და დარაჯი		ეკიმი და წამალი		სხვა		სულ	
მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
30	12300	—	—	17	20	240	—	—	—	—	—	351	99	2229	18	—	—	1469	97	16908	34
—	3042	50	80	79	—	63	35	—	—	—	—	351	15	240	—	—	—	1439	57	5217	36
—	180	—	30	55	—	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	260	55
—	5842	50	76	75	40	23	162	38	33	08	156	64	342	—	61	58	150	—	6865	16	
—	2090	—	67	28	100	—	330	17	84	75	585	70	270	—	—	—	1395	83	4923	73	
—	360	—	55	29	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	415	29	
70	360	—	45	59	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	475	59	
—	360	—	59	78	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	419	78	
—	—	—	21	60	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	21	60
—	25	—	2	45	—	25	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—	32	45	
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	25	—
70	24560	—	440	08	157	43	870	90	117	83	1445	48	3081	18	61	58	4460	37	35564	85	
—	6200	—	44	25	52	89	44	44	—	—	397	95	300	—	—	—	906	55	7946	08	
—	180	—	49	90	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	229	90
—	5145	—	72	95	37	25	—	—	—	—	104	19	360	—	216	28	436	48	6372	15	
—	2100	—	208	48	—	210	169	50	459	78	215	—	—	—	—	—	2785	68	6148	44	
—	360	—	60	—	—	—	—	—	—	—	—	—	16	—	—	—	4	—	440	—	
70	300	—	30	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	400	—	
—	—	—	14	97	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	14	97
—	120	—	43	15	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	163	15
—	55	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	55	—
70	14460	—	523	70	90	14	254	44	169	50	961	92	891	—	216	28	4132	71	21769	69	

№ №	სკოლები	როდის დაიწყო სწავლა.	როდის შესწყდა	რავდენ დღე) სწარმოებდა სწავლა	მიზეზი თუ რისთვის აკლდებიან მოს- წავლენი გაკვეთილებს.
1	ქუთაისის სათ.-აზ.	190 <sup>8</sup> / <sub>9</sub> —190 <sup>9</sup> / <sub>10</sub> 2 ენკენისთვის	190 <sup>8</sup> / <sub>9</sub> —190 <sup>9</sup> / <sub>10</sub> მაისის. 23	190	სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობა.
2	ბათუმის . . . .	2 ენკ.—3 ენკ.	დამ.—31 მაის.	181 187	ციებ-ცხელება და წითელა.
3	წინარეხის . . . .	11 ენკ.—15 ენკ.	მაის. 31—1 ივნ.	185 192	ავადმყოფობა, ტანისამოსის უქონლობა შინაური საქმეები.
4	ძველი სენაკის . .	1 ენკ.—3 ენკ.	30 მაის—30 მაისს	196 183	ავადმყოფობა: ციება უმთავრესად, წითელა, ყელჭირვება, ცული ამინდები.
5	კაკავის . . . .	9 ენკ.—1 ენკ.	23 მაის.—25 მაის.	170 183	ავადმყოფობა, ფენსაცმლის და ტანთსაცმე- ლის უქონლობა.
6	გომარეთის . . . .	6 ოკტ.—6 თკტ.	— —	— —	სახადისა გამო.
7	ყალამშიის . . . .	— —	13 მაის.—13 მაის.	150 —	ოჯახობის საქმე, განსაკუთრებით გაზაფ- ხულზედ. და შემოდგომაზედ მებრედ წაყვანა.
8	საგურამოს . . . .	9 იანვ. 1908	2 თიბ. გან. 9 ენკ.	180 —	ავადმყოფობა, ფენშიშველობა, ცული ამინდები.
9	გიორგი წმინდის	1 თიბ. 1909	30 მაის. გან. 1 ენკ.	180 —	ავადმყოფობა.



ბიბლიოთეკა-

სამკითხველოები.

ბიბლიოთეკა სამკითველოები		წოდების მიხედვით.							სქეს ში		
		თავდაზნაური	სასულ. წოდება	ვაჭარი	გლეხი	მუშა	პოწაფე	სხვა	სულ	ქალი	კაცი
1909 წ.		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ტფილისის II	126	21	7	90	18	207	5	474	—	—
2	ტფილისის III	13	9	11	23	63	25	18	152	63	8
3	ახალციხის	5	19	41	18	19	25	13	140	66	7
4	უდის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	ხონის	—	—	—	—	—	—	—	—	5	2
6	ქარელის	22	3	7	2	—	—	—	34	14	2
7	მათხოზჯის	—	6	1	27	—	2	—	36	—	—
8	ყვირილის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
9	მუხურის	—	28	3	286	7	64	—	388	86	30
10	მუხიანის	3	13	3	9	18	—	1	47	7	4
11	კულაშის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
12	ქვიტირის	28	5	1	24	—	1	—	59	21	3
13	წობატაურის	—	—	—	—	—	—	—	100	—	—
		197	104	74	479	125	324	37	1430	262	58
1910 წლ.											
1	ტფილისის მესამე	48	11	28	297	190	111	83	768	162	60
2	ტფილისის IV ავლაბრის	—	—	—	—	100	107	—	207	37	17
3	ახალ. სენაკის	—	—	—	—	—	—	—	69	18	5
4	ბაქოს	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	კავკაზის	—	—	—	—	—	—	—	37	—	3
6	ბორჯომის	7	1	—	—	36	—	—	44	13	3
		55	12	28	297	326	218	83	1125	230	89

**მომწერთა**

ხელის—მომწერლები								რადენი რა შინაარსის წიგნები გაუტანიათ.								
კართველი	რუსი	სომეხი	თათარი	ებრაელი	ოსი	ბერძენი	სხვა	რამდენჯერ გაუტანიათ წიგნი.	სასულ. შინაარსის	მთხოვრობა პიეს.	სტორ.—ბიოგრ.	გეოგრაფ. ენოვგ	ბუნებასმეტს. მე- დიც.	სახვლო—სა- მეურნეო	სახვადლოებრივი	ეურნალები.
11	12	13	14	15	16	17	8	19	20	21	22	23	24	25	26	27
231	1	3	—	2	—	—	—	6110	78	2826	72	23	1812	48	40	1211
32	42	12	3	2	3	—	8	2024	33	893	225	129	343	98	81	222
131	3	1	—	1	—	4	—	1118	17	1008	—	91	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	227	57	127	12	2	3	23	21	1
24	1	—	—	—	—	—	—	321	—	120	60	26	30	62	23	321
30	—	4	—	—	—	—	—	27	1	17	5	2	1	1	—	—
36	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
388	—	—	—	—	—	—	—	1007	—	—	—	—	—	—	—	—
45	1	1	—	—	—	—	—	418	18	200	2	3	1	5	89	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
58	1	—	—	—	—	—	—	733	15	614	19	—	3	2	14	66
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
1026	49	21	3	3	5	4	8	12985	219	5805	395	276	2193	239	268	1821
248	20	15	—	—	—	—	—	3946	—	1811	721	118	98	60	585	555
197	3	7	—	—	—	—	—	2983	—	1542	31	—	—	1410	—	11932
—	—	—	—	—	—	—	—	377	—	—	—	—	—	—	—	—
37	—	—	—	—	—	—	—	16	—	16	—	—	—	—	—	684
29	11	3	—	—	—	1	—	380	—	—	—	—	—	—	—	—
511	34	25	—	—	—	1	—	7702	—	3369	752	118	98	1470	585	13171

## წიგნები და უფრნალ-

ბიბლიოთეკები და სამკითხველოები.		ჰქონდა საანგარიშო წლის 1 იანვრის- თვის.		ს უ ლ				სულ
				წლის გან- მავლობაში შეძენილი.		წლის ბოლოს.		
				ქართ.	რუს.	ქართ.	რუს.	
1909 წ.		1	2	3	4	5	6	7
1	ტფილისის II	1810	190	194	1	2004	191	2195
2	ტფილისის III	1182	850	38	53	1220	903	2185
3	ახალციხის	1468	781	7	66	1475	847	2322
4	უდის	614	84	76	—	690	84	774
5	ბონის	276	270	21	24	297	294	571
6	ქარელს	129	—	—	—	117	—	129
7	მანთხოჯის	26	—	61	—	87	—	114
8	ტფილისის ავქალის ქ.	958	1115	50	22	1008	1137	2145
9	ყვირილისა	—	—	—	—	—	—	—
10	მუხურისა	165	25	—	—	—	—	190
11	მუხინისა	200	322	—	—	200	322	522
12	კულაშისა	—	—	—	—	—	—	—
72 მიეთვალა ნაშთის 80 $\frac{0}{0}$ სახა- რჯო თანხას . . . . .			1794	01
	27212	333	30333	15



ბ ა ლ ა ნ ს ი 1 ი ა ნ ვ ი რ ი ს ა

ა ქ ტ ი ვ ი :

1909 წ. 1910 წ.

ა ქ ტ ი ვ ი		მ ა ნ .		მ ა ნ .	
		მ ა ნ .	კ .	მ ა ნ .	კ .
I	კასა . . . . .	841	51	218	95
II	სახელდახელო ანგარიში . . . . .	8908	57	6027	07
III	შენახული ფული . . . . .	11002	92	19002	92
IV	‰ ქალაღდები . . . . .	26424	71	26202	71
V	‰ ‰ ქალაღდებისა . . . . .	501	11	501	11
VI	წიგნები საწყობში . . . . .	34088	71	34260	49
VII	წიგნები მალაზიაში . . . . .	7324	53	7614	11
VIII	აგენტები . . . . .	6212	97	7250	06
IX	დებიტორები . . . . .	7338	51	9045	67
X	წიგნების ბეჭდვა . . . . .	420	60	420	60
XI	ბიბლიოთეკების გამგეები . . . . .	1995	45	2394	06
XII	სკოლების კომიტეტები . . . . .	850	15	1325	59
XIII	გარდამავალი ფული დე- ბეტით . . . . .	501	66	1521	37
XIV	ინვენტარი . . . . .	786	11	884	67
		107197	51	116669	38

თ ვ ი ს

1909 წ.

1910 წ.

შ ა ს ი ვ ი ა :	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
I სათადარიგო თანხა . სახარჯო.			7562 34		8264 67		1794 01	10058 68
II სასტამბო და ძველის წიგნების თანხა:								
ა) ფულად.								
1. ძველის წიგნე ბისა . . . . .	131	83			201 08			
2. სასტამბო . . . . .	2781	03	2912 86		3052 42		3253 50	
ბ). წიგნებად:								
1. ძველის წიგნებისა.	3295	90			3232 30			
2. სასტამბო . . . . .	3754	30	7050 20		3601 80		6834 10	
III კრედიტორები . . . . .			30907 72				36093 76	
IV გარდამავალი ფუ- ლი კრედიტით.			702 12				215 56	
V საგანგებო თანხები.			58062 27				60213 78	
			<u>107197 51</u>				<u>116669 38</u>	

საზოგადოების თავმჯდომარე გ. უზბუკი.

წევრები: {  
 ა. ყიფშიძე  
 ლ. ბოცვაძე  
 დ. კარიჭაშვილი  
 ნ. არღანიანი  
 ტ. ხშიადაშვილი

# წ ე ვ რ ნ ი

ქართულთა შორის წერბაკითხუის გამჯდურცელეებელის  
საზოგადოებისა 1 იანუარისათვის  
1910 წ.

საშატო წევრნი:

- 1, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის ძე,
- 2, ქავჭავაძისა კნ. ოლგა თადეოზის ასული,
- 3, წერეთელი თ. აკაკი როსტომის ძე,
- 4, ცხვედაძე ნიკოლოზ ზებედეს ძე,
- 5, თულაშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე,
- 6, ზუბალაშვილი იაკობ კონსტანტინეს ძე,
- 7, ზუბალაშვილი ლევან კონსტანტინეს ძე,
- 8, ზუბალაშვილი პეტრე კონსტანტინეს ძე.

დამფუძნებელი წევრნი, რომელთაც ერთიანად აქვთ გადახდილი  
საწევრო ფული (300 მან.)

- 1, არღუთაშვილი-მხარგძელი თ. ნიკოლოზ ვასილის ძე,
- 2, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი თავ. ერეკლე კონსტანტინეს ძე,
- 3, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი კნ. ბარბარე ერეკ. ასული,
- 4, მაჩაბელი თავ. ვასილ გიორგის ძე,
- 5, მუსხელაშვილი დიმიტრი ივანეს ძე,
- 6, საგინაშვილისა ელისაბედ გრიგოლის ასული,
- 7, ჩოლოყაშვილი ალექსანდრე ზაალის ძე,
- 8, დოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე,
- 9, ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე.

დაშეუქმებულნი წევრნი, რომელნიც მოკვადენი არიან იხადონ უოკელ წლიურათ ათ-ათი მანეთი (10 მან).

**10** აბაშიძე გორლენკო კნ. ადელიაიდა სიმონის ასული, ალექსი-მესხიშვილი მიხეილ დავითის ძე, ამირაჯიბისა კნ. სოფიო ვასილის ასული, ანდრონიკაშვილისა კნ. ბარბარე შერაბის ასული, ათაბეგოვი გიორგი ყაზარას ძე, ბაქრაძე დავით ნიკოლოზის ძე, ბარათაშვილი კნ. ბარბარე გიორგის ასული, გრუზინსკისა კნ. თამარა დავითის ასული, გვრიტიშვილი პავლე იაგორის ძე ერისთავი თ. დავით გრიგოლის ძე,

**20** ერისთავი თ. ზაქარია გიორგის ძე, ერისთავი თ. ზაქარია გრიგოლის ძე, ერისთავი თ. კონსტანტინე დავითის ძე, ზუბალაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, ზუბალაშვილი ივანე იაგორის ძე, ზუბალაშვილი ივანე ანდრიას ძე, თარხნიშვილი თ. გიორგი იორამის ძე, თუმანიშვილი პავლე ალექსანდრეს ძე, ლოლუა ლუარსაბ თეიმურაზის ძე, ლორთქიფანიძე თ. დავით არჩილის ძე,

**30** მაღალაშვილი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე, მაჩაბელი თ. ანეპოდისტე იასეს ძე, მელიქიშვილისა კნ. რუსუდან დიმიტრის ასული, მინგრელსკისა უგანათ. კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული, მუსხელიშვილი გიორგი ივანეს ძე, ორბელიანი ჯამბაკურიან თ. ალექსანდრე ივანეს ძე, ორბელიანი თ. გიორგი ილიას ძე, სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე, სუმბათაშვილი თ. დავით ალექსანდრეს ძე,

- ტერ-ასატურიანცი ტიგრან არტემის ძე,  
**40** ფერნაძე სვიმონ ფრიდონის ძე,  
ფიფინაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,  
ლოლობერიძე სვიმონ ბესარიონის ძე,  
ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე,  
შლიკაშვილი თ. იოს. ივანეს ძე,  
შახპარონიანცი მიხეილ სერგეის ძე,  
შარვაშიძე თ. გიორგი დიმიტრის ძე,  
ჩიქოვანი თ. ალექსანდრე სვიმონის ძე,  
ჩოლოყაშვილი თ. ნიკოლოზ ზაალის ძე,  
ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე,  
**50** ცაგარელი მელიტონ თომას ძე,  
ცისკარაშვილი ფილიპე ისაკის ძე,  
წერეთელი სვიმონ როსტომის ძე,  
წინამძღვარიშვილი ილია ივანეს ძე,  
კავკავაძე თ. ნიკოლოზ დიმიტრის ძე,  
კავკავაძე თ. იასე ნოშრევანის ძე,  
**56** ჯანდიერი თ. ლევან გიორგის ძე,

წამდელნი წკრანი, რომელთაც ერთიანად აქვთ გადახდილი სს-  
წკროთ ფული (60—100 მან.)

- 1, ისარლიშვილი მიხეილ პეტრეს ძე,
- 2, ყაზბეგი ელისაბედ ნიკოლოზის ასული,
- 3, ზუბალაშვილი იოსებ გიორგის ძე,
- 4, თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე,
- 5, დეკანოზიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე,
- 6, დადიანი თ. იოსებ იულონის ძე,
- 7, სუხიაშვილი მათე დეკანოზი,
- 8, მალრაძე დეკ. ლუკა,
- 9, ცერცვაძე გრიგოლ იაკობის ძე,
- 10, სიღამონ-ერისთავისა კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული,

- 11, ბაგრატიონ-დავითიშვილი თ. გიორგი ალექსანდრეს ძე,
- 12, კუნდური გიორგი თევდორეს ძე,
- 13, ბერელაში ვასილ გარსევანის ძე
- 14, ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე,
- 15, მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე,
- 16, მანსვეტოვი იაკობ ალექსანდრეს ძე,
- 17, კიკნაძე სარდიონ ბესარიონის ძე,
- 18, ქიქოძე მიხეილ ათანასეს ძე,
- 19, ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსეს ძე,
- 20, ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე,
- 21, ჩიქოვანისა ალექსანდრა ლაზარეს ასული,
- 22, რცხილაძე ვასილ ილიას ძე.

ნამდვილნი წევრნი, რომელნიც მოგადენი არიან იხადან წელი-  
წადში სამსახში მანეთი (3 მან.):

- ანთაძე მლ. კონსტანტინე,  
ანდრონიკაშვილი იოსებ ზაქარიას ძე,  
ახმეტელაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე,  
ალხანაშვილი ისაკ გიორგის ძე,  
ავსაჯანოვი ივანე,  
ანთელიძე გიორგი ანტონის ძე,  
ახობაძე ვლადიმერ ანტონის ძე,  
**30** აბელოვი ანნა აბელის ასული  
აბელაშვილი კიკო გიორგის ძე,  
აბხაძე ილია მაკარის ძე,  
ანჯაფარიძე ივლიანე გრიგოლის ძე,  
ანდრონიკაშვილი ზურაბ გ.  
ანდრონიკაშვილი ნინო სიმონის ასული,  
ახვლედიანი დიმიტრი,  
ასათიანი ეკატერინე თევდორეს ასული,  
აღნიაშვილი მლ. გიორგი,  
ალექსიშვილი იასონ ელიზბარის ძე,

**40** აბასავა ისაკ ყარამანის ძე,  
 აბრამიშვილი გიგო,  
 აბრამიშვილი ლუარსაბ,  
 აკოფოვი ნიკო,  
 არჯევანიძე ლიუდმილა,  
 აბრამოვ-ლაზარევი ფირა  
 ანჩაბაძე კნ. მარიამ ნიკოლოზის ასული,  
 ავალოვი ანნა ნიკოლოზის ასული,  
 აღამია იოსებ ბეგლარის ძე,  
 ავალიშვილი ზაქარია ასლანის ძე,  
**50** აფხაზი ნინო იასონის ასული,  
 აგლაძე ლავრენტი,  
 ასათიანი ივანე გაბრიელის ძე  
 ავალიშვილი ივანე გიორგის ძე,  
 არჯევანიძე გიორგი პავლეს ძე,  
 აბაშიძე ივანე გიორგის ძე,  
 აბულაძე ანტონ ქრისტეფორეს ძე,  
 ბაქრაძე დავით ივანეს ძე,  
 ბეთეშვილი მოსე ანტონის ძე,  
 ბექთაბეგიშვილისა თამარა გრიგ. ასული,  
**60** ბოსტოვინოვი აბრამ ილიას ძე,  
 ბასტოვინოვი ისაკ ილიას ძე,  
 ბერიაშვილი ხარიტონ გრიგოლის ძე,  
 ბაქრაძე ნიკოლოზ ლუკას ძე,  
 ბარათაშვილი ივანე მიხეილის ძე,  
 ბარათაშვილი მლ. გერვასი,  
 ბერძნიშვილი ილია ანტონის ძე,  
 ბაქრაძე იასონ,  
 ბილანაშვილი ივანე,  
 ბაკურაძე ვენედიქტე,  
**70** ბოლქვაძე სოლომონ ალექსის ძე,

ბენედელია დავით პავლეს ძე,  
 ბოკერია ივანე მაქსიმეს ძე,  
 ბარნოვი ალექსანდრე ზაქარეას ძე,  
 ბარნოვი ვასილ ზაქარეას ძე,  
 ბოკორიშვილი გიორგი,  
 ბეჟანეიშვილი ვასილ იოსების ძე,  
 ბეგიაშვილი დეკ. სვიმონ,  
 ბეჟიტაძე ივანე.  
 ბურკულაძე ივანე გაბრიელის ძე,  
**80** ბარნაბიშვილი მლ. ნიკოლოზ,  
 ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე,  
 ბუჭურაული ივანე ალექსის ძე,  
 ბაქრაძე სპირიდონ იოსების ძე,  
 გორდაძე ვარლამ მიხეილის ძე,  
 გოგნიაშვილი ლევან იოსების ძე,  
 გოლაძე სტეფანე,  
 გაჩეჩილაძე ვანო სპირიდონის ძე,  
 გაბუნია იოსებ კონსტანტინეს ძე,  
 გაჩეჩილაძე მელიტონ მალაქიას ძე,  
**90** გუგუშვილი ეფრემ დიმიტრის ძე,  
 გაჩეჩილაძე ბესარიონ ოქროპირის ძე,  
 გოცირიძე ვლადიმერ სიმონის ძე,  
 გუნცაძე იოსებ ალექსანდრეს ძე,  
 გულაშვილი სანო სიმონის ძე,  
 გამყრელიძე ილარიონ ოტიას ძე,  
 გოგოლაშვილი დენტორ მიხეილის ძე,  
 გაჩეჩილაძე ისიდორე მოსეს ძე,  
 გალუსტოვი ალექსანდრე ზაქარეას ძე,  
 გალუსტოვი მიხეილ ზაქარეას ძე,  
**100** გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე,  
 გუჯეჯიანისა ანნა პაპუნას ასული,  
 ჭოგოტიშვილი ერმალო ბეჟანის ძე,



გოცირიძე დიმიტრი ირაკლის ძე,  
გოგითიშვილი იაკინთე ბესარიონის ძე,  
გოგობერიძე ილია ნიკოლოზის ძე,  
გორდუზიანი ილია პავლეს ძე,  
გაბუნია გედევან,

გველესიანი ტერენტი სიმონის ძე,  
გაბუნია ბესარიონ გრიგოლის ძე,

**110** გაბუნია ფარნა ბეჟანის ძე,  
გაბაშვილისა მარიამ ზაქარიას ასული,  
გძელიშვილისა დარია,

გოცირიძე ნიკოლოზ,

გრიგოლაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე,

გოცირიძე მლ. დავით,

გამყრელიძე კონსტანტინე იოსების ძე,

გვალია მიხეილ ოტიას ძე,

გეგელია ალექსანდრე დიმიტრის ძე,

გაგუა ვლადიმერ იესეს ძე.

**120** გიგინეიშვილი კონსტანტინე მიხ.

გოგიჯანაშვილი გიორგი არჩილის ძე,

გაბელია ევგენი ღუტუს ძე,

გაბუნია კონსტანტინე დავითის ძე,

გაბისკერია იპატი გაიოზის ძე,

გავრილოვი მარკოზ,

გორგაძე იოაკიმ,

გვერწითელი რაჟდენ,

გელოვანი დესპინე გრიგოლის ასული,

გოგრიჩიანი ოლლა,

**130** გეგელაშვილი იასონ ლუარსაბის ძე,

გიორგობიანი ალექსანდრე პეტრეს ძე,

გოგრიჩიანი ვარლ. ლაზარ.

გალაშვესკი მიხეილ ივანეს ძე,

გაბაშვილისა ეკატერინე რევაზის ასული,  
გედევანიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე,  
გარსიაშვილი მლ. დავით,

გოგიტიძე ნიკოლოზ გიტის ძე.

გეგეჭკორი პეტრე კონსტან.

გადილია ვასილ ჩიტოს ძე,

**140** გორგაძე სერგეი რომანოზის ძე,

გიუნაშვილი ივანე,

გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე,

გულაბიშვილი,

ღვალი რაფაელ,

დავითაშვილისა მარო ივანეს ასული,

ღუმბაძე დიმიტრი,

დარჩიაშვილი მიხეილ,

დარჩიაშვილისა ელისაბედ,

დათეშიძე დავით ნიკოლოზის ძე,

**150** ღუმბაძე არტამან ლუკას ძე,

დავიდოვი გიორგი ნიკოლოზის ძე,

დოდაშვილი დავით ადამის ძე,

დოდაშვილი სოფიო,

დენელია ზაქარია,

დუნდუა სპირიდონ ივანეს ძე,

დედაბრიშვილი შიო ზაქარიას ძე,

დავითაშვილი დავით ალექსის ძე,

დიასამიძისა ანნა,

ღვალი პლატონ ექვთიმეს ძე,

**160** ელიოზიშვილი იასონ ნიკოლოზ. ძე,

ერისთავისა კნ. სოფიო გიორგის ასული,

ედილაშვილი სიმონ ნიკოლოზის ძე,

ედილაშვილი ზაქარია ერმალოზის ძე,

ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე,

ესაკია სვიმონ კონსტანტინეს ძე,

ესაკია მიხეილ ბესარიონის ძე,  
ერქომიანიშვილი გრიგოლ ლუკას ძე,  
ვაშაძე მლ. ბესარიონ,  
ვასაძე ერმალო ლევანის ძე,

**170** ვახვახიშვილი ალექსანდრე რევაზ.

ვაჩნაძე გიორგი რევაზის ძე,  
ვაჩნაძე ელენე სიმონის ძე,  
ვაშაკიძე გიორგი,  
ზურაბიშვილი ილია ელფეთერის ძე,

ზედგინიძისა ანნა ივანეს ასული,  
ზედგინიძე ივანე ნიკოლოზის ძე,  
ზვიადაძე მაქსიმე როსტომის ძე,  
ზურიევი ვანო,

ზაქარიაშვილი მლ. ლევან,

**180** ზაქარეიშვილი რაჭდენ,

ზედგინიძე იაკობ სვიმონის ძე,  
თავართქილაძე ვლადიმერ ბაქიას ძე,  
თავართქილაძე თამარა იოსების ასული,  
თუმანიშვილი გიორგი პავლეს ძე,  
თავართქილაძე სილიბისტრო რომანოზ.

თუმანიშვილი პავლე ალექსანდრეს ძე,

თაქთაქიშვილი ივანე მიხეილის ძე,

თედეშვილი დავით იაკობის ძე,

თავაძე ლევანტე გიორგის ძე,

**190** თავართქილაძე სამსონ ბაგრატის ძე,

თათარაშვილი ალექსანდრე,

თულაშვილი ალექსანდრე ლევანის ძე,

თედიაშვილი ანდრო,

თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე,

თურქია ნინო ალექსის ასული,

თურქია გახუ პეტრეს ძე,

თულაშვილი ელისაბედ,

თოთიბაძე ნოე სიმონის ძე,  
 ინაშვილი კონსტანტინე ფილიპეს ძე,  
**200** ინაშვილი მიხეილ ხარიტონის ძე,  
 იაშვილი ჯიბრაილ დავითის ძე,  
 იაშვილი აბელ,  
 ინასარიძე გიორგი,  
 იაშვილი მიხეილ,  
 იმნაიშვილი გერასიმე სოფრომის ძე,  
 ისარლიშვილი იაკობ პეტრეს ძე,  
 იეზოვი სოფიო პავლეს ასული,  
 კიკნაველიძე პლატონ თეიმურაზის ძე,  
 კობახიძე ივანე გრიგოლის ძე,  
**210** კანდელაკი ივანე სიმონის ძე,  
 კობახიძე ფილიმონ გრიგოლის ძე,  
 კვირიკაშვილი ალექსანდრა,  
 კობიაშვილი ზურაბ სიმონის ძე,  
 კვალიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე,  
 კასრაძე სოლომონ ანდრეას ძე,  
 კოტიაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე,  
 კობალაძე დავით დავითის ძე,  
 კასრაძე იოსებ ისაკის ძე,  
 კვალინიძე ალექსი სოლომონის ძე,  
**220** კვალიაშვილისა იულია რაჟდენის ას.,  
 კალანდაძე ნესტორ,  
 კიკლაშვილი ნესტორ ეგნატეს ძე,  
 კვირიკაშვილი პეტრე პავლეს ძე,  
 კახიძე ვასილ ბესარიონის ძე,  
 კვიტაშვილი სვიმონ მერაბის ძე,  
 კოჩინვეი კონდრატი ანტონის ძე,  
 კოჩინვეი ვასილ კონდრატის ძე,  
 კობალაძე გიორგი გაბრიელის ძე,  
 კორძაია ალექსანდრე სიმონის ძე,

**230** კალანდარაშვილი მიხეილ ივანეს ძე,  
კალატოზიშვილი ივანე დიმიტრის ძე,  
კოკოჩაშვილი ლევან პეტრეს ძე,  
კერესელიძე გიორგი ივანეს ძე,  
კვალიაშვილი ალექსანდრე,  
კობხეიძე იოსებ ივანეს ძე,  
კალანდარაშვილი მელქისედეკ ბესარიონ.  
კოკაია კოდრატე ბაგრატის ძე,  
კიკნაძე ზაზა,  
კიკნაძე ვლადიმერ,

**240** კლდიაშვილისა ანასტასია გრიგოლ.  
კლდიაშვილი ეფროსინე,  
კაკუბავა რაჟდენ ივანეს ძე,  
კილაძე ბართლომე,  
კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე,  
კიკვიძე გიორგი,  
კაჩუხოვი ივანე იოსების ძე,  
კილაძე დიომიდე,  
კავკასიძე გრიგოლ იოსების ძე,  
კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე,

**250** ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე,  
ლაშხი ფარსადან ვესევის ძე,  
ლორთქიფანიძე დავით ივანეს ძე,  
ლალიძე მიტროფანე ერმალოზის ძე,  
ლოსაბერიძე სპირიდონ,  
ლოლუა ანდრია დავითის ძე,  
ლოლუა იოსებ ტოჩის ძე,  
ლორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე,  
ლობჯანიძე ნესტორ ანტონის ძე,  
ლეონიდ ეპისკოპოზი,

**260** მასალკინი სოფიო გიორგის ასული,  
მალაკელიძე ილია გიორგის ძე,  
მალალაშვილი ალექსანდრე ლუარსაბის ძე,  
მაჩაბელი ალექსანდრე დავითის ძე,  
მაჩაბელი სვიმონ ილიას ძე,  
მაისურაძე მიხეილ ანდრიას ძე,  
მაჩაბლისა ეფემია ანდრიას ასული,  
მაჩაბელი ლიუდმილა ალექსანდ.  
მაქავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე,  
მაქავარიანი ეკატერინე სოლომონის ას.,

**270** მეზერიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე  
მუსხელაშვილი ვახტანგ,  
მეგრელიძე გაბრიელ ალექსანდრეს ძე,  
მითაიშვილისა მარიამ იაგორის ასული,  
მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე,  
მამულაშვილი ივანე პავლეს ძე,  
მეხუზლა ალექსი მაქსიმეს ძე,  
მაქავარიანი ქაიხოსრო დავითის ძე,  
მაქავარიანი სოფიო ალექსის ასული,  
მაყაშვილი ივანე ათანასეს ძე,

**280** მამინაიშვილი ნიკიფორე იოსების ძე  
მიქაძე ნიკოლოზ იოსების ძე,  
მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე,  
მოწონელიძე სპირიდონ ტარიელის ძე,  
მოწონელიძე ილარიონ ტარიელის ძე,  
მოლაშვილი სტეფანე,  
მოსულიშვილი კოტე ლუკას ძე,  
მხატრიძე ნიკოლოზ,  
მოსულიშვილი თომა,  
მაქავარიანი მარიამ დიმიტრის ასული,

**290** მიქაძე ივანე როსტომის ძე,  
მეუნარგია იონა მიხეილის ძე,

მელა თეიმურაზ სპირიდონის ძე,  
მზიძე გიორგი დავითის ძე,  
მარჯანოვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე,  
მღმარაძე კაცია საველიძის ძე,  
მღივანი ალექსანდრე ივანეს ძე,  
მღივანი მიხეილ ივანეს ძე,  
მაკარაშვილი ბესო,  
მაისურაძე ილია,  
**300** მოისეფვი დარია,  
მურვანიშვილი მიხეილ,  
მეშჩერსკისა მარიაშ ესტატეს ასული,  
მაყაშვილი ივანე რომანოვის ძე,  
მაყაშვილისა თამარ გიორგის ასული,  
მახვილაძე ვლადიმერ მიხეილის ძე,  
მალაკელიძე მიხეილ მერაბის ძე,  
მხარგლძელი-იობაშვილი გრიგ. დიმ.,  
მალაკელიძე ილარიონ მერაბის ძე,  
მრეველიშვილი გიორგი რომან. ძე,  
**310** შირიანაშვილი ალექსი,  
მაჩაბლიშვილი ალექსი აბრამის ძე,  
მაჭუტაძე ნინო ნიკოლოზის ასული,  
მეტრეველი ლევან თედოს ძე,  
მაჭავარიანი ილია დიმიტრის ძე,  
მაჭავარიანისა ნინო გიორგის ასული,  
მესხი ეკატერინე,  
მალალაშვილი ბარბარე გრიგოლ.  
მაჭავარიანი სვიმონ როსპარის ძე,  
მალალაშვილი ივანე გრიგოლის ძე,  
**320** მელიქიშვილი თ. ნიკოლოზ მიხეილ.,  
მარკოზაშვილი მაქსიმე ივანეს ძე,  
მუსხელაშვილი ნატალია,  
მგალობლიშვილი სოფრომ,

მესხი კონსტანტინე დავითის ძე,  
მდივანი ალექსანდრე ბესარიონის ძე,  
შაჰავარიანი დავით პაატას ძე,  
ნებიერიძე სერგო იოსების ძე,  
ნიორაძე ტრიფონ ანდრიას ძე,  
ნანეიშვილი თეოფანე,  
**330** ნანეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე,  
ნაცვლიშვილი რაქდენ სოლომონის ძე,  
ნაცვლიშვილი ნინო ანტონის ასული,  
ნემსაძე ალექსანდრე ბესარიონის ძე,  
ნაცვლიშვილი დიმიტრი,  
ნათაძე მლ. ვასილ,  
ნაცვლიშვილი მაშო,  
ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე,  
ნატროშვილი სვიმონ დავითის ძე,  
ოქროპირიძე იროდიონ ბესარიონის ძე,  
**340** ოჩიგავა ევგენი სისოს ძე,  
ოთხმეზური ეკატერინე ზაქარიას ასული,  
ონიაშვილი გიორგი,  
ორბელიანი მამუკა,  
ორბელიანისა ელისაბედ ირაკლის ასული,  
პაატაშვილი ივანე დიმიტრის ძე,  
პურადაშვილი ივანე ისაკის ძე,  
პაქსაშვილი გიორგი,  
პაატაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე,  
როსტომაშვილი კონსტანტინე მიხ. ძე,  
**350** რაქვიაშვილი ილია დავითის ძე,  
როსტომაშვილი ნინო ივანეს ასული,  
რუსიშვილი ქეთევან ივანეს ასული,  
რცხილაძე ტარასი გრიგოლის ძე,  
რამიშვილი ირაკლი ივანეს ძე,  
რამაზიშვილი შიო იოსების ძე,



საყვარელიძე კალენიკე ალექსანდრეს ძე.

საქანდელია ბიქტორ,

საყვარელიძე აბო მიხეილის ძე,

საყვარელიძე ბესარიონ ანტონის ძე,

**360** სიხარულიძე მიხეილ მახარებლის ძე,

სარაჯიშვილი მიხეილ პეტრეს ძე,

საძაგლიშვილი მლ. ზაქარია,

სიღამონიშვილი ვახტანგ ვასილის ძე,

სურგულაძე ბარნაბა გიორგის ძე,

სურგულაძე პელაგია გიორგის ასული,

სოლოვიოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე,

საბახტარაშვილი ილარიონ,

სოლოგუბი ელენე სამსონის ასული,

სანაძე ალექსანდრე ბეჟანის ძე,

**370** სულხანიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე,

საყვარელიძე ნიკოლოზ ნარიშის ძე,

სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე,

სურგულაძე პეტრე როსტომის ძე,

სარაჯიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,

სეხნიაშვილი კოტე,

ტარტარიშვილი კოტე მიხეილის ძე,

ტურიაშვილი კონსტანტინე ლაზარეს ძე,

ტურიაშვილი დეკ. ლაზარე,

ტურიაშვილი ნიკოლოზ ლაზარეს ძე,

**380** ტულუში ლავრენტი მაქსიმეს ძე,

ტოლრიდი პოლიკრონ,


ფავლენიშვილი დიმიტრი ალექს.

ფირცხალავა პავლე გიორგის ძე,

ფულარია კონსტანტინე ალექსის ძე,


ფეიქრიშვილი სტეფანე პავლეს ძე,

ფურცელაძე მღ. ბესარიონ,  
ფურცელაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,  
ფირალოვი ვასილ სტეფანეს ძე,  
ფრანგიშვილი ივანე მათეს ძე,  
**390** ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე,  
ქართველიშვილი ელისაბედ გიორგის ას.,  
ქიტიაშვილი ივანე,  
ქავთარაძე ქაიხოსრო,  
ქავთარაძე პარასკევა სიმონის ასული,  
ქიმერიძე იავორ,  
ქიტიაშვილი დავით,  
ქადაგიძე დავით,  
ქურდინი გრიგოლ ზურაბის ძე,  
ქორქუსაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე,  
**400** ქორქუსაშვილი ანნა მიხეილის ასული,  
ლულუშაური ნიკოლოზ პავლეს ძე,  
ლარიბაშვილი სოსო,  
ლოონტი ილია როსტომის ძე,  
ლულაძე იაკობ სოლომონის ძე,  
ყუბარაძე დავით ოქროპირის ძე,  
ყაზბეგი რაფაელ ნიკოლოზის ძე,  
ყაზახაშვილი ანტონ ალექსის ძე,  
ყიფშიძე ალექსანდრე თევდორეს ძე,  
ყიფშიძე ზაქარია თევდორეს ძე,  
**410** ყაზახაშვილი თამარ ალექსის ასული,  
ყულაშვილი მღ. მიხეილ,  
ყიფიანი დარია,  
ყიფიანი ვლადიმერ,  
ყიფიანი მიხეილ ქაიხოსროს ძე,  
შანიძე ბესარიონ ოქროპირის ძე,  
შიუკაშვილი ელენე მიხეილის ასული,



შიშნიაშვილი მლ. გიორგი,  
შაფლიაშვილი ივანე,  
შიუკაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე,  
**420** შენგელია რაჟდენ თენგიზის ძე,  
შერვაშიძე ტერეზია ნესტორის ასული,  
შერვაშიძე ვასილ გრიგოლის ძე,  
ჩხეიძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე,  
ჩხეიძე ვლადიმერ ილიას ძე,  
ჩოლოყაშვილი დიმიტრი ერასტის ძე,  
ჩიჯავაძე მლ. იოსებ,  
ჩიჩუა გიორგი ბეკოს ძე,  
ჩაკვეტაძე პავლე ნიკოლოზის ძე,  
ჩიქოვანი სიმონ,  
**430** ჩუტკერაშვილი კონსტანტინე,  
ჩხაიძე ავქსენტი ელიზბარის ძე,  
ჩიჩუა ბესარიონ მიხეილის ძე,  
ჩიჩუა სოლომონ სპირიდონის ძე,  
ჩაჩავა იასონ ნიკოლოზის ძე,  
ჩიხლაძე იასონ,  
ჩიქოვანი ნიკოლოზ გიორგის ძე,  
ჩერქეზიშვილი ესტატე გიორგის ძე,  
ჩხეიძე ანდრია,  
ჩოთიკაშვილი აბრამ გრიგოლის ძე,  
**440** კონიშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე,  
კუმბურიძე გიორგი აღმასხანის ძე,  
კინქარაძე ალექსანდრე ივანეს ძე,  
კავჭავაძე ზაქარია სამსონის ძე,  
კავჭავაძე მაქსიმელიანე ზაქარიას ძე,  
კიქინაძე ტარასი ლეონის ძე,  
კრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე,  
კუონია პავლე შერმადინის ძე,  
კიქინაძე ნიკოლოზ გაბრიელის ძე,  
კანტურია ისიდორე შუკოს ძე,

- 450 ციმაკურიძე ანნა ეფრემის ასული,  
კტიტიშვილი აგაბო ნიკოლოზის ძე,  
ცენტერაძე ალექსანდრე გიორგის ძე,  
ცისკარაშვილი მიხეილ დავითის ძე,  
ცისკარაშვილი მიხეილ საბას ძე,  
ციციშვილი ალექსანდრა ვასილის ასული,  
ცაგარელი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე,  
ციციშვილი იასონ დავითის ძე,  
ციხითათრიშვილი ალექსანდრე,  
ცეცხლაძე ივანე ზოსიმეს ძე,  
460 ცერცვაძე გიორგი იაკობის ძე,  
ციციშვილი ივანე გიორგის ძე,  
ცირღაძე იროდიონ ლუკას ძე,  
ციციშვილი პავლე დავითის ძე,  
ცინცაძე დეკ. კალისტრატე,  
ძუწოვი ვასილ გაბრიელის ძე,  
ძიძიკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე,  
წერეთელი ალექსანდრე ზურაბის ძე,  
წერეთელი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,  
წერეთელი ტერენტი,  
470 წინამძღვრიშვილი მარიამ გიორგის ას.,  
წულუკიძე გრიგოლ მიხეილის ძე,  
წერეთელი ივანე კონსტანტინეს ძე,  
წითაიშვილი ვასილ სიმონის ძე,  
წერეთელი კონსტანტინე დავითის ძე,  
წერეთელი ალექსანდრე ვლადიმერის ძე,  
წერეთელი ნაპოლეონ სოლომონის ძე,  
წირდივავა პავლე ივანეს ძე,  
წულაძე ლავრენტი ივანეს ძე,  
წერეთელი სერგეი,  
480 ხმიადაშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე,  
ხიმშიაშვილი იასონ ლევანის ძე,



ხიდაშელი მლ. ვასილ,  
ხარკიშვილი დავით,  
ხუტულაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე,  
ხუჭუა ვასილ ბეჟანის ძე,  
ხიზანაშვილი გიორგი ივანეს ძე,  
ხელაშვილი დეკ. მიხეილ,  
ხოხიაშვილი მელქისედეკ სოფრომის ძე,  
ხოქოლაფა იონა მაქსიმეს ძე,  
490 ხმალაძე მარგარიტა,  
ხმალაძე იაკობ,  
ხუციშვილი სოლომონ,  
ხრამელაშვილი ეგნატე მამუკას ძე,  
ხუნდაძე ივანე ნიკოლოზის ძე,  
ხუნდაძე სიმონ თომას ძე,  
ხოშტარია დიმიტრი თომას ძე,  
ჯაფარიძე ვასილ მიხეილის ძე,  
ჯაჯანაძე პლატონ ალექსის ძე,  
ჯავახიშვილი ლუკა ანტონის ძე,  
500 ჯვარიშვილი ათანასე,  
ჯანდიერი ექ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე,  
ჯორჯაძე ალექსანდრე,  
ჯაფარიძე კონსტანტინე იოსების ძე,  
ჯაქვაძე კირილე ანდრიას ძე,  
ჯავროვი გრიგოლ დავითის ძე,  
ჯანგველაძე იოსებ გლახას ძე,  
ჯორჯიკია დავით ივანეს ძე,  
ჯომარდიძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე,  
ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,  
510 ჯაოშვილი მლ. ეპიფანე,  
ჯულელი ანთიმოზ ივანეს ძე,  
ჯულელი კორნელი პორფირის ძე,  
ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე,  
ჯაფარიძე სერგო დავითის ძე,  
ჯაში ვალერიან ლეონტის ძე,  
ჯორჯაძე დავით გიორგის ძე.

# წ ე ვ რ ნ ი

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის  
საზოგადოებისა 1 იანვრისათვის  
1911 წ.

საზატაო წევრნი:

- 1, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის ძე,
- 2, ქავჭავაძისა კნ. ოლგა თადეოზის ასული,
- 3, წერეთელი თ. აკაკი როსტომის ძე,
- 4, ცხვედაძე ნიკოლოზ ზებედეს ძე,
- 5, ზუბალაშვილი იაკობ კონსტანტინეს ძე,
- 6, ზუბალაშვილი ლევან კონსტანტინეს ძე,
- 7, ზუბალაშვილი პეტრე კონსტანტინეს ძე.

დამფუძნებელი წევრნი, რომელთაც ერთიანად აქვთ გადახდილი  
საწევრო ფული (300 მან.)

- 1, არღუთაშვილი-მხარგძელი თ. ნიკოლოზ ვასილის ძე,
- 2, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი თავ. ერეკლე კონსტანტინეს ძე,
- 3, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი კნ. ბარბარე ერეკ. ასული,
- 4, მაჩაბელი თავ. ვასილ გიორგის ძე,
- 5, მუსხელაშვილი დიმიტრი ივანეს ძე,
- 6, საგინაშვილისა ელისაბედ გრიგოლის ასული,
- 7, ჩოლოყაშვილი ალექსანდრე ზაალის ძე,
- 8, ლოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე,
- 9, ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე.

დამფუძნებელი წევრნი, რომელნიც მოკალენი არიან ახადან ყოველ წლიურათ ათ-ათი მანეთი (10 მან).

**10** აბაშიძე გორლენკო კნ. ადელიადა სიმონის ასული,  
ალექსი-მესხიშვილი მიხეილ დავითის ძე,  
ანდრონიკაშვილისა კნ. ბარბარე მერაბის ასული,  
ათაბეგოვი გიორგი ყაზარას ძე,  
ბაქრაძე დავით ნიკოლოზის ძე,  
ბარათაშვილი კნ. ბარბარე გიორგის ასული,  
გრუზინსკისა კნ. თამარა დავითის ასული,  
გვრიტიშვილი პავლე იაგორის ძე  
ერისთავი თ. დავით გრიგოლის ძე,  
ერისთავი თ. ზაქარია გიორგის ძე,

**20** ერისთავი თ. ზაქარია გრიგოლის ძე,  
ერისთავი თ. კონსტანტინე დავითის ძე.  
ზუბალაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე,  
ზუბალაშვილი ივანე იაგორის ძე,  
ზუბალაშვილი ივანე ანდრიას ძე,  
თარხნიშვილი თ. გიორგი იორამის ძე,  
თუმანიშვილი პავლე ალექსანდრეს ძე,  
ლოლუა ლუარსაბ თეიმურაზის ძე,  
ლორთქიფანიძე თ. დავით არჩილის ძე,  
მალალაშვილი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე,

**30** მაჩაბელი თ. ანებოდისტე იასეს ძე,  
მელიქიშვილისა კნ. რუსუდან დიმიტრის ასული,  
მინგრელსკისა უგანათ. კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული,  
მუსხელიშვილი გიორგი ივანეს ძე,  
ორბელიანი ჯამბაკურიან თ. ალექსანდრე ივანეს ძე,  
ორბელიანი თ. გიორგი ილიას ძე,  
სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე,  
სუმბათაშვილი თ. დავით ალექსანდრეს ძე,

ტერ-ასატურიანცი ტიგრან არტემის ძე,  
ფერნაძე სვიმონ ფრიდონის ძე,  
**40** ფიფინაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,  
ლოღობერიძე სვიმონ ბესარიონის ძე,  
ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე,  
შალიკაშვილი თ. იოს. ივანეს ძე,  
შახპარონიანცი მიხეილ სერგეის ძე,  
შარვაშიძე თ. გიორგი დიმიტრის ძე,  
ჩიქოვანი თ. ალექსანდრე სვიმონის ძე,  
ჩოლოყაშვილი თ. ნიკოლოზ ზაალის ძე,  
ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე,  
ცაგარელი მელიტონ თომას ძე,  
**50** ცისკარაშვილი ფილიპე ისაკის ძე,  
წერეთელი სვიმონ როსტომის ძე,  
წინამძღვარიშვილი ილია ივანეს ძე,  
კავკავაძე თ. ნიკოლოზ დიმიტრის ძე,  
კავკავაძე თ. იასე ნოშრევანის ძე,  
**55** ჯანდიერი თ. ლევან გიორგის ძე,

ნამდვილნი წევრნი, რომელთაც ერთიანად აქვთ გადახდილი სს-  
წევრო ფული (60—100 მან.)

- 1, ისარლიშვილი მიხეილ პეტრეს ძე,
- 2, ზუბალაშვილი იოსებ გიორგის ძე,
- 3, თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე,
- 4, დეკანოზიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე,
- 5, დადიანი თ. იოსებ იულონის ძე,
- 6, სუხიაშვილი მათე დეკანოზი,
- 7, მალრაძე დეკ. ლუკა,
- 8, ცერცვაძე გრიგოლ იაკობის ძე,
- 9, სიღამონ-ერისთავისა კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული,



- 10, ბაგრატიონ-დავითიშვილი თ. გიორგი ალექსანდრეს ძე,
- 11, კუნდური გიორგი თევდორეს ძე,
- 12, ბერელაში ვასილ გარსევანის ძე
- 13, ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე,
- 14, მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე,
- 15, მანსვეტოვი იაკობ ალექსანდრეს ძე,
- 16, კიკნაძე სარდიონ ბესარიონის ძე,
- 17, ქიქოძე მიხეილ ათანასეს ძე,
- 18, ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსეს ძე,
- 19, ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე,
- 20, ჩიქოვანისა ალექსანდრა ლაზარეს ასული,
- 21, რცხილაძე ვასილ ილიას ძე.

ხმდვილნი წვერნი, რომელნიც შოვაღუენი არიან ისაღდან წველად  
წადში სამ-სამი მანეთი (3 მან.):

- ასათიანი ივანე გაბრიელის ძე,  
ახმეტელაშვილი ნიკო ივანეს ძე,  
ახალშენიშვილისა ანნა,  
ახვლედიანი დიმიტრი,  
აფხაზი ივანე დიმიტრის ძე,  
აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე,  
ანტონ არქიმანდრიტი,  
აღნიაშვილი მღ. გიორგი,  
30 აბაზაძე ალექსანდრე ლევანის ძე,  
ასათიანი ეკატერინე თევდორეს ასული,  
არდაზიანი ანნა ნიკოლოზის ასული,  
ამილახვარი გიორგი დავითის ძე,  
ამილახვარი ეკატერინე ზაალის ასული,  
აბულაძე პლატონ,  
ბერიაშვილი ხარიტონ,  
ბალაშვილი კონსტანტინე ტიმოთეს ძე,  
ბეროზაშვილი გიორგი ბაღდასარის ძე,

ბარათაშვილი ივანე გიორგისძე,  
40 ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე,  
გომართელი ივანე,  
გარაყანიძე კონსტანტინე ზურაბის ძე,  
გოგლიჩიძე სვიმონ პავლეს ძე,  
გოპაძე ილია ზურაბის ძე,  
გულისაშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე,  
გრუზინსკი პეტრე ალექსანდრეს ძე,  
გოცირიძე მლ. დავით,  
გრიგოლაშვილი გ. ნიკოლოზის ძე,  
გურგენიძე კონსტანტინე ივანეს ძე,  
50 გძელიშვილი დარჩა,  
გოგჩიაშვილი ფილიპე გაბრიელის ძე,  
გაჩეჩილაძე მიხეილ,  
გრიშაევი ელისაბედ,  
გიუნაშვილი ივანე,  
დარჩიაშვილისა ელისაბედ,  
დგებუაძე კალისტარტე არეტის ძე,  
დარიალაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,  
დავითაშვილი მარიამ,  
დიასამიძე დიმიტრი გიორგის ძე,  
60 დიასამიძე თინათინ,  
დათაძე მლ. კონსტანტინე,  
ედილაშვილი ზაქარია,  
ელიოზიშვილი მარიამ კონსტანტ. ასული,  
ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე,  
ერისთავი მიხეილ ლევანის ძე,  
ვახვახიშვილი ზაალ დიმიტრის ძე,  
ვახვახიშვილი სვიმონ რევაზის ძე,  
ვაჩნაძე ვლადიმერ დავითის ძე,  
ზაალიშვილი მიხეილ რომანოზის ძე,  
70 ზოდელავა ივანე ანტონის ძე,

66

ზაქარიაშვილი მღ. ლევან,  
ზედგინიძისა ანნა ივანეს ასული,  
ზედგინიძე ივანე ნიკოლოზის ძე,  
თოთიბაძე პარმენ სოლომონის ძე,  
თიჯანაძე ივანე,  
თუმანიშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე,  
თულაშვილი ალექსანდრე ლევანის ძე,  
ინაშვილი კონსტანტინე ფილიპეს ძე,  
იაშვილი აბელ,  
80 იოსელიანი მარიამ კონსტანტინ. ას.,  
იაშვილი ნიკოლოზ პეტრეს ძე,  
იმნაიშვილი გერასიმე,  
კავსაძე ვერა,  
კვირიკაშვილი პეტრე,  
კველიშვილი ერმალოზ გიორგის ძე,  
კაჭარავა მიხეილ ოქროპირის ძე,  
კირაკოზოვი საქის მიხეილის ძე,  
კაპანაძე დეკ. იოანე,  
კავსაძე მღ. დავით,  
90 კვალიაშვილი ივანე დიმიტრის ძე,  
კვალიაშვილი ილია ალექსანდრეს ძე,  
ვარბელაშვილი მღ. ფილიმონ,  
კასრაძე ანტონ ანტონის ძე,  
კლდიაშვილი ეფროსინე,  
კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე,  
ლოლაძე გრიგოლ დავითის ძე,  
ლომაური ნიკოლოზ იოსების ძე,  
ლომაურისა ნინო ანტონის ასული,  
ლოსაბერიძე სპირიდონ,  
100 ლორთქიფანიძე ალექსანდრე სვიმ.,  
ლომაური გიორგი ივანეს ძე,  
ლეონიდ ეპისკოპოზი,

ცხვედაძე მლ. ლეონტი,  
 ცერცვაძე ალექსანდრე ივანეს ძე,  
 ციციშვილი მიხეილ ირაკლის ძე,  
 170 ცერცვაძე ონისიმე ზაქარიას ძე,  
 ციციშვილი იასონ დავითის ძე,  
 ციბილაშვილი მლ. გიორგი,  
 ცინცაძე დეკ. კალისტრატე,  
 ჭრელაშვილი ნიკოლოზ,  
 ჭავჭავაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,  
 ჭავჭავაძე მიხეილ დავითის ძე,  
 ჭეიშვილი სოლომონ ალექსის ძე,  
 ხიზანაშვილი დავით,  
 ხორავა ნიკოლოზ თეიმურაზის ძე,  
 180 ხშიადაშვილი ტერეზია დიმიტრის ას.,  
 ჯვარიშვილი ათანასე თევდორეს ძე,  
 ჯაფარიძე პარმენ ქველის ძე,  
 ჯავრიშვილი ნიკოლოზ,  
 ჯაოშვილი მლ. ეპიფანე,  
 ჯამბაკურ-ორბელიანი კნ. მარიამ ნიკ. ას.  
 ჯავროვი გრიგოლ დავითის ძე,  
 ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,  
 ჯანგველაძე იოსებ გლახას ძე,  
 ჯიბლაძე ონისიმე მიხეილის ძე,  
 190 ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე,  
 ჯაჭვაძე კირილე.



8

ქართულთა შორის წერბ-კითხვის გამავრცელებელ  
საზოგადოების საზოგადო კრება.

გამგეობის მოხსენება 1911 წლის „21“ აპრილის კრებაზე.

ყორადღებით განხილვა წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ყველა ანგარიშებისა, საზოგადოების დაარსების დღიდან, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ეტყობა რომ საქმის დამწყობთ კეთილი მიზანი და განზრახვანი ჰქონიათ, პირველად უბრალო და სადა, და ადვილად უძღვებოდნენ საქმეს, ხარჯისა და ბორჯის გაუწევლად, სარტო უსასყიდლო შრომით. რაკი ასეთი პატრიარქული შეხედულობა სუფევდა, კანტროლის საქირებაც აღარ იყო.

სქიანობა დაფუძნებული იყო პატიოსან სიტყვაზე და ფულის შემწირველთა გულკეთილობა, ეს უმთავრესი თვისება ქართვისა, ყოველ გვარ განსაცდელს იყო მოკლებული. შემოსავლი იზრდებოდა და იმ ფიქრმა, რომ შემოსავალი მომავალშიც გაიზრდებო, ფართო ვზა გაუხსნა ჩვენის საზოგადოებას და დაარსებულთა ოცნებას. 1879 წ. საზოგადოებას ჰყავდა 15 წევრი, ამათში 127 დამფუძნებელმა იკისრა წელიწადში მანათის გადახდა, ხოლო 123 ნამდვილმა წევრმა 10 მანათი. პირველსავე წელიწადს საზოგადოების დახლში შეგროვდა 15.762 მანათი ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების წყალობით: ტფილისისამ შესწირა. 11.000 მ., ხოლო ქუთაისისამ 3000 მ.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას შედარებით მცირე საშუალება ჰქონდა, გამგეობამ მაინც ასეთი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა:

- 1) დახმარება უკვე არსებულ სასოფლო სკოლებს;
- 2) ახალი სკოლების გახსნა;
- 3) მასწავლებელთა მომზადება;
- 4) საყმაწვილო წიგნების გამოცემა.

განძრახული იყო საზოგადოების მოქმედება გავერცულე-  
ბინათ ყველა ქართველებზე სანამესტნიკოში.

გამგეობა შეუდგა მასალების შეკრებას, თუ სადა და სად  
გაემართა პირველ-დაწყებითი სკოლები. ვიდრე კი მასალას  
შეკრებდა, გადასწყვიტა გახსნას თითო სკოლა ტფილისსა და  
ქუთაისს. ამავე დროს გამგეობამ გამოაცხადა, რომ იმ სოფე-  
ლს, რომელიც იკისრებს სკოლის გახსნას და გადასდებს წე-  
ლიწადში 300—400 მან. მის შესანახად, საზოგადოება ასე-  
თს სოფელს ფულით დახმარებას აღმოუჩენსო.

ამავე დროს საზოგადოებამ დააწესა ხუთი სტიპენდია  
გორის საოსტატო სემინარიაში მასწავლებელთა მოსამზადებ-  
ლად და გადასდო თითო სტიპენდიის ხარჯად წელიწადში  
130 მ.

იმვე 1879 წელს გამგეობამ გამოაცხადა კონკურსს  
სახელმძღვანელოთა შესადგენად: 1) არითმეტიკისა—პრემიად  
დანიშნა 150 მ; გეოგრაფიისა—300 მან.; საქართველოს  
ისტორიისა—300 მან. და ბუნების ცოდნისა—200 მ. 2)  
გამგეობამ გადასწყვიტა აგრედვე დაარსოს დეპო წიგნებისა,  
ანუ წიგნთ-საწყობი, რისთვისაც გადასდო 6000 მან და სამკი-  
თხველო, სადაც უნდა შეკრებილიყო როგორც დაბეჭდილი  
წიგნები, აგრედვე ძველი ხელთნაწერები.

აღნიშნული გეგმა საზოგადოებისა იმისათვის დავისახე-  
ლეთ, რომ ვაჩვენოთ, თუ რას ეტრფოდა და რას ეტანებოდა  
საზოგადოება და იმავე დროს ნათელ ვყოთ-თუ რა წარმტაცი  
იყო პირველი ნაბიჯი საზოგადოებისა და რაოდენად არ შეე-  
ფერებოდა საზოგადოების ნიჭთიერ ქონებას ოცნება და გან-  
ზრახვანი.

რომ საზოგადოებას ღონე არ შესწევდა განებორციელე-  
ბინა თვისი კეთილი განძრახვანი, შემდეგსავე 1880 წელს აღ-  
მოჩნდა, მაგრამ იმედი კარგის მომავალისა მაინც ფრთებს ასხა-  
ვდა საზოგადოებას.

14 ღვინობისთვის 1880 წელს გაიხსნა პირველი სკოლა

68

ტფილისში. ხუთს დაქირავებულ ოთახში მოთავსდა ოცდაათამდე შევირდი, საზოგადოების კანცელარია და მათთან ბიბლიოთეკა. იმავე წელს გაიხსნა სკოლები: ბათუმს და ქუთაისს. განზრახულივე იყო სკოლების გახსნა: წინარეზს, თონეთს და სტეფანწმინდას. ხუთს სოფლის სკოლას შემწეობა აღმოუჩინეს. წარმოდგენილ სამს საკონკურსო სახელმძღვანელოდან 1880 წელს არც ერთი არ იყო მოწონებული. საყმაწვილო წიგნების საბეჭდად გადაღებულ თანხიდან (6000 მან) დაიბეჭდა მარტო ორი წიგნაკი: „ფარანი“ და ხატაური“.

სასკოლო გეგმა არ იყო შემუშავებული; შედგენა გეგმისა თვით მასწავლებლების ნებაზე იყო მიწოდებული.

იმავე 1881 წელს ეპისკოპოზ ალექსანდრეს თაოსნობით საზოგადოებამ დაადგინა ხელი შეუწყოს გალობის გავრცელებას და ამ საგნისათვის გადასცა 120 მან. განსაკუთრებულ კამისიას.

პირველ ორ წელიწადს საზოგადოებამ მიიღო შემოწირულობა 4000 მან მთელი თანხა საზოგადოებისა ამ დროს უდრიდა 16.000 მან. მიუხედავად ამისა საზოგადოებამ შეადგინა ასეთი ხარჯთ-აღრიცხვა 1881 წლისათვის:

1) ახალ სკოლების გახსნა . . . . .	1000 მ.
2) პრემიები . . . . .	250 —
3) სტიპენდიება . . . . .	780 —
4) ბათუმის სკოლას . . . . .	1500 —
5) ტფილისის სკოლას . . . . .	<b>1294 —</b>
6) ბიბლიოთეკას . . . . .	400 —
7) გალობა . . . . .	120 —
8) წიგნების ბეჭვდა . . . . .	1500 —
9) კანცელარიის ქირა . . . . .	200 —
10) მდივანს . . . . .	600 —
11) მოულოდნელი ხარჯი . . . . .	500 —
12) ბათუმის სკოლის აგება. . . . .	3000 —

---

12.344 მან.

ამ ვვარად ხარჯთ-აღრიცხვა 1881 წლისა იმ ნაირად იყო შედგენილი, რომ თითქმის მთელი თანხა საზოგადოების სავესებით მოუნდებოდა 1881 წლის ხარჯებს. ცხადია, ასეთს ხარჯთ-აღრიცხვას რომ ადგენდა 1881 წლისათვის საზოგადოება, მთელს თავის მომავალს აფუძნებდა შემთხვევით ნივთიერ წყაროზე და ნებაყოფლობით შემოწირულობაზე.

ეს ძირითადი შეცდომა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პირველ მოღვაწეობისა ტრადიციულ სენად გადაექცა ჩვენს საზოგადოებას. მთელი ოცდა ათი წელიწადი საზოგადოების არსებობისა სწორედ ამ სენტან ბრძოლას მოუნდა. რაც ხანი გადის უფრო მწვავედება საქმე, რადგან ნივთიერი ქონება არ შეეფერება ჩვენს ოცნებას და სურვილებს. ასეთი შეუფერებლობა ოცნებისა და ქონებისა ნათლად სჩანს თვით საზოგადოების 1885, 1900, 1905 და 1910 წლების ანგარიშებიდან ამოღებულ ნუსხებიდან.

—:—

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დაამარსებულთა პროგრამა, რომელსაც დევიზად ჰქონდა „სახალხო სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით“, გარკვეული და რეალური იყო. ადვილი მოსახერხებელი იყო, რომ ეს პროგრამა სავესებით ასრულებულიყო და წარმატების გზაზე დამდგარიყო, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას მცირე ქონება ჰქონდა. საჭირო იყო მხოლოდ თანდათანობითი და სისტემატიური მუშაობა და დარჩენა იმ ფარგალში, რაც თავდაპირველადვე დევიზად დაიდო საზოგადოებამ, მაგრამ ულმობელმა ცხოვრებამ ახალ-ახალი საქმე მოახვია და დააკისრა საზოგადოებას, რამაც სრულიად შესცვალა საზოგადოების სახე და დღეს ჩვენ წინ იშლება საგანი—თუ რა გზით ვიაროთ და როგორ ვიმოქმედოთ მომავალში.

იქნება ჩვენის საზოგადოების წარსულის შესწავლამ გავინათოს გზა და გვიჩვენოს, თუ როგორ ვიმოქმედოთ მომავალში. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ საზო-



გადღობის ისტორიას იმ იმედით, რომ წარსული გზის მაჩვენებელია, ხოლო მომავალი სამოქმედო სარბიელია.

წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში, რუსეთის საზოგადო გონებრივ აღორძინების წყალობით, დიდი სიფხიზლე დაეტყო ქართულ ინტელიგენციასაც, რომელმაც თავი მოიყარა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გარშემო— ამ ერთად-ერთ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულებასთან მთელს საქართველოში და დააკისრა საზოგადოებას მრავალი მოვალეობა, მართალია სრულიად ლეგალური და საპატიო, მაგრამ რომელიც არ შეეფერებოდა პირვანდელ სადა და უბრალო გეგმას საზოგადოებისას. საზოგადოებაც დიდის ხალისით და სიამოვნებით მიეგება ახალ მოვალეობას და თანდათან, სახელს რომ იხვეჭავდა და სიყვარულს იძენდა, ფერსაც იცვლიდა. ყველაზე უწინარეს იფრთხილა აპრილდებულ ცეცხლსავე წარსულის ნაშთების სიყვარულმა და საზოგადოება მოწიწებით შეუდგა ისტორიულ ნაშთების შეგროვებას და მათს მოთავსებას განსაკუთრებულ მუზეუმში, რომელიც მოაწყო საზოგადოებასთან. შემდეგ საზოგადოებამ მიაქცია დიდი ყურადღება ლიტერატურას და შეუდგა კლასიკების და თანამედროვე მწერლების თხზულებათა ბეჭდვას და ასეთის წიგნებით გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა. ამ ნაირმა მოქმედებამ და მუშაობამ დაჰბადა ფონდების დაარსების საჭიროება. ფონდებს აზრად ჰქონდათ ლიტერატორთა დახმარება და სხვა და სხვა სპეციალური დანიშნულება. შეკრებილმა სამეცნიერო წიგნებმა და ხელნაწერებმა გაამდიდრეს ჩვენის საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი<sup>1)</sup>. ფონდებისთვის ფული იკრიფებოდა ვაზეთების რედაქციებში და 1901 წელს ეს ფული

1) საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში იყო წიგნი და ხელნაწერი 1885 წ. მხოლოდ... 940.

ქართულ ენაზე:

სხვა ენებზე:

1885 წ.	.	.	.	940	.	.	.	.
1895 წ.	.	.	.	2770	.	.	.	883.

გადავიდა წ. კ. საზოგადოების ხელში დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. 2) საზოგადოების წევრთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა 3); იმატა აგრედვე კერძო შემოწირულობამ, რომელშიაც მიიღო მხურვალე მონაწილეობა ქართველ ერის ყველა წოდებამ და წრემ.

ამ გვარად ბუნებრივად საზოგადოებას გაუჩნდა მრავალი საზრუნავი საქმე. საზოგადოებას თუმცა შერჩა ძველი სახელწოდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, მაგრამ

1900 წ.	. . . . .	3228	. . . . .	1206
1905 წ.	. . . . .	4458	. . . . .	1923
1910 წ.	. . . . .	5220.	. . . . .	2518.

საზოგადოებას მოუვიდა ბიბლოთეკები: თ. რ. ერისთავისა, სამეგრელოს მთავრისა, დ. ზ. ბაქრაძისა, დ. ი. ჩუბინოვისა, დ. მრევლიშვილისა და თ. ი. გ. ქავჭავაძისა. რადგან საზოგადოებას შესაფერი ბინა არ მოეპოვება, ნაწილი შემოწირულ წიგნებისა ჩაწყობილია ყუთებში და ისე ინახება გაურკვეველი და შეუსწავლელი.

✓ 2) დასახასიათებლად ფონდებისა როცა ისინი დაარსდა, მოვიყვანთ მათს სახელწოდებას:

1890 წელს დაარსდა:                      1891 წ. მიემატა:

- |                                      |   |
|--------------------------------------|---|
| 1) ბაქრაძისა . . . . . 2227 მ. 92 კ. | 8) სალიტერატურო, 333 — 40                                   |
| 2) ბარათაშვილისა . . . . . 432 — 24  | 9) ქედის სკოლისა, 51 — 52                                   |
| 3) ყაზბეგისა . . . . . 372 — 75      | 10) დამშუულთათვის, 1033 — 45                                |
| 4) დავითაშვილისა . . . . . 187 — 10  | 11) დ. ყიფიანისა . . . . . 64 — 10                          |
| 5) გურიელისა, . . . . . 25 — „       | 12) შირაქში ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის . . . . . 166 — „ |
| 6) რუსთველისა . . . . . 145 — 10     |   |
| 7) კერესელიძისა . . . . . 19 — 14    |   |

1910 წელს სახელწოდება ფონდებისა ავიდა 24-მდე და ფონდების თანხამ გადააქარბა 60. 000 მანათს.

- 3) საზოგადოებას ჰყავდა: 1880 წელს—282;  
 1890 წ — 458; 1895 წ. — 515; 1900 წ. — 612;  
 1907 წ.-1444. 1908 წ. წევრთა რაოდენობა შემცირდა

ნამდვილად იგი გადაიქცა უნივერსალურ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებად. არ მოიპოვებოდა არც ერთი საქმე, რომელსაც ასე თუ ისე კავშირი ჰქონდა კულტურასთან, რომ იგი არ აღძრულიყო საზოგადოების კანცელარიაში და სიყვარულით და თანაგრძნობით არ მიეღოთ საწარმოებლად ასეთი საქმე. გაჩაღდა მეცენატური ქველ-მოქმედება და მასთან ერთად სამეცნიერო აკადემიური ხასიათის მუშაობა. თუმცა ძველებურად საზოგადოების გეგმაში სკოლებს საპატიო ადგილი ეჭირა, მაგრამ რადგან შესაფერ ყურადღებას არ აქცევდნენ სკოლებს, პროგრესი არ ეტყობოდა მათ არც რაოდენობით, არც ღირსებით. საზოგადოების გამგეობამ ვერ შესძლო და ვერ მოაწყო რიგიანი ორგანიზაცია სკოლების ზედამხედველობისა. 4)

ერის ცხოვრებაში დადგება ხოლმე დრო, როდესაც აზრი და სურვილი ერისა საოცრად ჰფეთქავს და ჰდულს. ამისთანა დროსა და ჟამს საზოგადო მოთხოვნილებანი აღარ ეტევა არსებულ ფორმებში, განზე სწევს მათ და ვიდრე საჭირო გზა-კვალს იპოვნის, უწესრიგოდ ტრიალებს ერთს რომელსამე შესაფერ ადგილს. შემდეგ დინამიური ძალნი ადგილს უთმობენ სტატიურს, დგება ხანი გამოფხიზლებისა და დაფასებისა. საქმენი ნაწილდება და ასრე განაწილებული და განცალკევებული საქმიანობა მიდის თავის გზით და არამც თუ არ

---

511-მდე, ხოლო 1910 წ. ისევ ავიდა 580-მდე. წევრთა შემცირება იმით აიხსნება, რომ 1908 წ. გამოირიცხა სიიდან ყველა ის წევრი, ვისაც გადახდილი არა ჰქონდა საწევრო ფული რამდენიმე წლისა.

4) რაოდენობა სკოლებისა და სასოფლო ბიბლიოთეკებისა: 1880 წ. 2 სკოლა; 1885 წ.-5 სკოლა; 1890 წ.-6 სკოლა და 1 ბიბლიოთეკა; 1900 წ. 8 სკოლა და 6 ბიბლიოთეკა; 1905 წ. 10 სკოლა და 11 ბიბლიოთეკა; 1910 წ.. 12 სკოლა და 24 ბიბლიოთეკა.

უშლის ერთმანეთს, არამედ ხელს უწყობს საერთო მიზნის მისაღწევად. ასეთია კანონი ევოლიუციისა როგორც სოციალურ მოვლენათა, აგრედვე ყველაფრისა, რასაც სიცოცხლის ნიშან—წყალი ატყვია. პირველ ხანას შეიძლება უწოდოთ ძალთა ცენტრალიზაცია, ხოლო მეორეს დეცენტრალიზაცია.

ქართველთა ცხოვრებაში, პატარა სახით, ამავე კანონმა იჩინა თავი წერა-კითხვის საზოგადოების ისტორიაში ოცდაათის წლის განმავლობაში. 1880 წლიდან მოკიდებული, ქართველ ინტელიგენციის მთელი ძალ-ღონე მოზღვავებულ დინამიკის ზედგავლენით, ანგარიშ მიუცემლად, მიისწრაფოდა ერთად ერთის კულტურულ ცენტრისაკენ, ესე იგი წერა-კითხვის საზოგადოებისაკენ. საზოგადოების საჭიროებანი ყველას თავისებურად ესმოდა და თხოულობდა, რომ სწორედ ის საჭიროებანი ყოფილიყო დაკმაყოფილებული, რომელიც შეეფერებოდა მოთხოვნელის პირად გემოვნებას და შეხედულობას. 1910 წლიდან ჩამოყალიბდა აზრი, რომ საჭიროა შეერთდეს და შეჯგუფდეს სხვა და სხვა პირადი აზრი და შეხედულობანი. ამ გვარად დაიბადა საჭიროება და მოთხოვნილობა დეცენტრალიზაციისა, გაჩნდა ცალკე საზოგადოება ისტორიისა და ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა, დრამატიულ ხელოვნებისა, ფილარმონიისა, წიგნების ბეჭედისა. ამ ჟამად ასეთი დეცენტრალიზაცია უკვე მოხდა. საზოგადოების ძალნი დაიყო, იყოფა და ქუცმაცებდა აგრედვე ნივთიერი საშუალებანი დადგადრო, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოებაც უნდა დამორჩილდეს საზოგადო კანონს და დაუბრუნდეს თავის სპეციალურ პირვანდელ მიზანს, ესე იგი სახალხო სკოლას სამშობლო ენაზე სწავლებით.

დღევანდელ ყოფაში გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. მომავალი გაბედულად კარს გვირახუნებს და მსხვერპლს თხოულობს. იგი ეუბნება ჩვენს დამსახურებულს საზოგადოებას: ან დამორჩილდით ჟამთა-ვითარების მოთხოვნილებას და განახლდით, ან დაიღუპეთ თუნდაც იმ ფიქრით და რწმენით, რომ შეასრულეთ თქვენი ისტორიული მისიაო.

*Handwritten red mark or signature at the top right.*

ვინაიდან გამგეობა გულწრფელი თანამოზიარეა იმ აზრისა, რომ საზოგადოება უნდა განახლდეს, ჩვენს თავს ნებას ვძლევთ წარმოუდგინოთ საზოგადო კრებას, თუ რა გეგმით უნდა იხელმძღვანელოს მომავალში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

1) საზოგადოება ვალდებულია დაუბრუნდეს თავის პირვანდელ გეგმას და სასტიკად დასრულოს პიროველი მუსლი წესდებისა, რომელიც გამოსახულია ასეთის ფორმულით: „პიროველ დაწყებითი სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით“.

2) ეხლანდელ დილექტანტურ ანგარიშების მაგიერ უნდა შემოვიღოთ წესიერი ანგარიში იმ ფორმით, რა ფორმებიც მიღებულია ყველა დაწესებულებაში; მოისპოს ანგარიშები იმ საქმეთა, რომელიც არ შეეფერება ჩვენის საზოგადოების გეგმას; გამარტივდეს და გასუფთავდეს ფულის ანგარიში, რომელიც ამ ჟამად მეტის-მეტად გართულდა და აიწეწ-დაიწეწა იმის წყალობით, რომ საზოგადოებამ ხელი მოჰკიდა სხვა და სხვა გარეშე საგანს და აგრედვე იმიტომ, რომ გამგეობა საზოგადოებისა ვერა სწვდებოდა და ვერ აკმაყოფილებდა მრავალ მოთხოვნას, რომელიც ძალაუფლებურად თავს მოახვია წარსულმა დრომ.

3) არ შეიძინოს საზოგადოებამ არავითარი უძრავი ქონება გარდა სასკოლო შენობებისა და გაჰყიდოს კენინა ოლლა ჰეკავადისეული სოფლის მამული და, რაც ნალდი დარჩება ჯყიდვის შემდეგ, მიემატოს სათადარიგო თანხას.

4) უსასყიდლო შრომა უნდა განდევნოს საზოგადოებამ ვალში და პასუხსაგებელი შრომა სპეციალისტებისა ჯეროვანად დააჯილდოვოს. მდივნისა და ხაზინადრის გარდა, დანარჩენი წევრნი გამგეობისა უსასყიდლოდ მუშაობენ. სასურველია, რომ ამათაც ეძლეოდეთ ჯილდო, იმის მიხედვით, ვინ რამდენს კრებას დაესწრება და იმდენი მაინც, რომ დაჰფარონ ხარჯი მისვლა-მოსვლისა კრებებზედ.

გამგეობის წევრთ კარგად ესმოდათ, რომ ყველა აქ მოხ-

ისენებული პირობანი დიდად შეუწყობდა ხელს საქმის კეთილად მსვლელობას და შრომას არ ჰზოგავდნენ წარსულ სამის წლის განმავლობაში, რომ შეემუშავებინათ განსაკუთრებული წესები საქმეების მართვა-გამგეობისა. ნაწილი ამ გვარ წესებისა უკვე შედგენილია, სახელდობრ წესები, რომელიც შეეხება წიგნის მალაზიას და წიგნების საწყობს, ხოლო დანარჩენი წესები არ არის შედგენილი, რადგან მათი შემუშავება შეადგენს საზოგადო კრების მოვალეობას.

უკეთუ საზოგადო კრება შეიწყნარებს ზემოდ აღნიშნულ გეგმას საზოგადოების მომავალ მოქმედებისას, მაშინ ახლად ამორჩეულ გამგეობას უნდა დაეკისროს:

1) გამოარკვიოს რაოდენობა უიმედო ვალებისა, რომელიც დღეს ამძიმებს საზოგადოების ბალანსს. გამოირიცხოს აგრედვე ის ფული, რომელიც ითვლება სკოლებზე რ ბიბლიოთეკებზე. ეს თანხები წლიდან წლამდე საზოგადოების ბალანსში გადადის და ირიცხება კრედიტორებთან, რომელნიც თავის დღეში ამ ფულს საზოგადოებას არ დაუბრუნებენ.

2) მიიღოს ზომები, რომ გადაიხადონ საზოგადოების ვალი მოვალეებმა. მიენდოს საქმე გამოცდილ იურისტს, და მიეცეს ჯილდო ისეთი, რომელიც საზოგადოდ არის მიღებული.

დღევანდელი გამგეობა სცდილობდა ვალების აკრეფას და ეს საქმე ჩააბარა იურისტებს, რომელთაც იკისრეს საქმის წარმოება უსასყიდლოდ, მაგრამ უსასყიდლო ვეჭილებმა იმედი ვერ გაამართლეს რ დაწყებული საქმენი კეთილად ვერ დაგვირგვინდა.

3) ყველა არსებული თანხები (ფონდები) შეერთდეს სამდიდ ჯგუფად (ფონდებად): I) სამუზეუმო, II) სალიტერატურო და III) სასკოლოდ.

1) რა თანხებიდან არის შემდგარი სამუზეუმო ფონდი, გამოარკვია 1908 წელს საზოგადო კრებამ. პირველს იანვარს 1911 წ. ამ თანხისა არის 32.924 მან. 38 კაპ. ეს თანხა უნდა მოხმარდეს მუზეუმის აშენებას.

2) სალიტერატურო ფონდში უნდა გადაირიცხოს ყველა კერძო შემოწირულობანი, რომელთა რაოდენობა პირველი იანვარს 1911 წ. არის 4671 მან. 85 კაპ. ამ შემოწირულებათ აქვთ თავთავიანთი სახელწოდება: ქენეველ სტუდენტებისა, სალიტერატურუსი და თ. რაფიელ ერისთავისა. თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ ფერნაცვალი ფონდი, საქიროა გამოარკვიოს საზოგადო კრებამ.

ამავე სალიტერატურო ფონდს უნდა მიემატოს ცალკალკე სახელწოდებით შემდეგი თანხანი: ა) საპენსიო თანხა (ა. წერეთლის სახელზე დაარსებული, საიდანაც შემწეობა უნდა ეძლეოდეს დამსახურებულ და ავადმყოფ ლიტერატორებს იმ დრომდე, ვიდრე ფონდი სრულიად გამოილევა. ამ თანხისა პირველი იანვარს 1911 წ. არის 5079 მან. 51 კაპ. ბ) თანხა პროფ. პეტრიაშვილის სახელობაზე. ამ თანხის დანიშნულება ჯერ-ჯერობით ნათლად არ არის გამორკვეული. ამ თანხისა პირველი იანვარს 1911 წ. არის 2083 მან. გ) თანხა უგანათლებულეს თავადის გრ. დადიანის სახელობაზე; ეს თანხა გადადებულია სპრემიოდ თანახმად დამფუძნებელის სურვილისა. ამ თანხისა პირველი იანვარს 1911 წ. 4327 მან. 39 კაპ. და დ) ყოველთვიური შემოწირულობა ძმათა ზუბალაშვილებისა უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების დასანიშნად. ეს ფული უნდა ჩაირიცხოს საზოგადოების გარდამავალ თანხაში

სულ სალიტერატურო თანხაში იქნება პირველი იანვარს 1911 წ. 16.161 მან. 75 კაპ.

